ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 მარტი 2005 №57 (2380) ფასი 50 თეთრი

ფედერაციამ ფულიო

საწევრო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს საქართველოს ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრება — ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ. სტუდენტებს ვადა მომავალ ტურამდე დაუთქვეს. უახლოეს ტურში კი თსუ ნამდვილად ითამაშებს, თუმცა თუ ამის შემდეგ 8 300 ლარი არ გადაიხადა, ჩემპიონატიდანაც მოიხსნება და თასის გათამაშებიდანაც, სადაც ნახევარფინალში სტუ-ს უნდა შეხვედროდა.

ბერძნების ვირტუალური შემოტევა

ელინებს სამი ქულა თავისი ჰგონიათ

5

ნადზირატელი

რუსული ჰოკეის უდიდესი ჩხუბი

15

ინჭერრ აქჭივი

ჩემპიონთა ლიგა ახალი გამარჯვებულის მოლოდინშია

REUTERS მიღებულია

ათი ლარი!

13 140 ბილეთი გაიაფდა

გადაწყვეტილი საქმეა: საქართველო — საბერძნეთის მატჩის 13 140 ბილეთის ფასი 10 ლარი იქნება. გაიაფებული ბილეთების გაყიდვა აწ უკვე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში ხვალ-ზეგიდან დაიწყება.

გუშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ჟურნალისტებს 26 მარტის ბილეთების რაოდენობაზე, ფასებზე და საორგანიზაციო ხარჯებზე გვესაუბრებოდა ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან თბილისის სპორტის სამსახურის უფროსი გიორგი უდესიანი სტუმრობდა და ბილეთების გაიაფების საკითხს აგვარებდა.

ფედერაციამ მერიისგან და ქალაქის სპორტის სამსახურიდან კონკრეტული წინადადება მიიღო და საქმეც, ფაქტობრივად, რამდენიმე წუთში ქომაგის სასარგებლოდ დამთავრდა. თბილისის მერია და სპორტის სამსახური ფეხბურთის ფედერაციას მატჩის ორგანიზებაში დაეხმარება და ხარჯების ნაწილს იკისრებს, ფედერაცია კი თავის მხრივ ბილეთებს გააიაფებს. აღარ იქნება 30 და 20-ლარიანი ბილეთები, იქნება მხოლოდ 10-ლარიანები. უფრო ძვირი, 50-ლარიანი ბილეთები უკვე გაყიდულია, ხოლო 40-ლარიანები სანახევროდ გაყიდულია, ნახევარსაც VIP-ები შეიძენენ.

ფეხბურთის ფედერაცია ახლა უკვე დაბეჭდილი ბილეთების გაიაფების საკითხს ფინანსთა სამინისტროსთან ათანხმებს. გამორიცხული არ არის, ახალი ნაბიჯის ასარიდებლად გაყიდვაში გასულ ბილეთებს, ფასად, 20 ან 30 ლარი ეწეროს, თუმც შესაბამისი ბეჭდით იყოს დამონმებული.

მოკლედ, არ მოტყუვდეთ, საქართველო — საბერძნეთის ბილეთი 10 ლარი ღირს.

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

CHAMPIONS LEAGUE

მილანი. „სან სიროს“. 71 000 მაყურებელი

ინტერი 3:1 პორტუ (1:1)

1:0, 2:0 ადრიანო (6, 63) 2:1 ჟორჟე კოშტა (69), 3:1 ადრიანო (87)

ტოლდო, ზე მარია, მიხაილოვიჩი, მატერაცი, ხ. ძანეტი, ვერონი (ვან დერ მეიდე 88), კამბიასო, კ. ძანეტი, სტანკოვიჩი (კილი გონსალესი 83), ადრიანო, კრუზი (მარტინესი 76)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ბაია, სეიტარიდისი, რიკარდო კოშტა (პოშტიგა 66), ჟორჟე კოშტა, ემანუელი, ვალენტე, მანიშე, კოშტინია, დიეგუ, კლაუდიო (კვარესმა 46), მაკარტი
მწვრთნელი: ჟოზე კოუსეირუ

გაფრთხილება: კ. ძანეტი (25), ვალენტე (46), მანიშე (88), ჟორჟე კოშტა (90)
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ადრიანომ ჰეთ თრიკი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგა მოქმედი ჩემპიონისა თუ თასის მფლობელის გარეშე დატოვა — „პორტუ“ გავარდა. ორი შეხვედრის ჯამური ანგარიშია 4:2 შავ-ლურ-ჯების სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა წესითა და რიგით ერთი კვირის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ვინაიდან მილანის სტადიონს, „სან სიროს“ ჩემპიონთა ლიგის მეორე წყვილი, „მილანი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ სტუმრობდა, „ინტერსა“ და „პორტუს“ დაპირისპირებამ ერთი კვირით დაიგვიანა.

აღსანიშნავია, რომ ოთხი გოლის გარდა შეხვედრამ თავი კიდევ რამდენიმე მომენტით დაგვამახსოვრა, რომელთაგან ყველაზე სულისშემძვრელი ხავიერ ძანეტის ის ეპიზოდი გახლდათ, როდესაც არგენტინელმა იმდენი მოახერხა, რომ ბურთი დაუცველ კარში ვერ შეაგდო, ვერც თანაგუნდელებს შეაგდებინა და პედრო ემანუელს ხაზიდან გამოტანის საშულებაც მისცა.

REUTERS მილანიდან

ადირანომ ნუნუ ვალენტე ამოაყირავა და ლიგიდან გაისტუმრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი უდესიანმა და თბილისის მერიამ ვალერი ჩოლარიას და ფეხბურთის ფედერაციას საბერძნეთთან მატჩის ხარჯები შეუმსუბუქეს

რიცხვთა თეორია

ჩოლარიას საბუღალტრო ანგარიში

ვიდრე თბილისის მერია და ქალაქის სპორტის სამსახური ფეხბურთის ფედერაციას დახმარების ხელს გაუწვდიდნენ და საბერძნეთ-თურქეთთან მატჩების საორგანიზაციო ხარჯების ნაწილს იკისრებდნენ, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ საბერძნეთთან მატჩის ის ზედაპირული ხარჯთაღრიცხვა წარმოგვიდგინა, რომელსაც შესაბამის უწყებებს გუშინვე მიაწვდიდა.

ჩოლარიას თქმით, საბერძნეთთან თამაშის ხარჯი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა შესაძლო პრემიებისა და ბიუჯეტში და ფიფა-უეფაში გადასახადების ჩაუთვლელად 150 500 ლარი იქნება. უფრო კონკრეტულად კი, ფედერაცია ბერძნებთან მატჩის ორგანიზებისთვის ფულს აი, რაში დახარჯავს:

საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელების მგზავრობა — 50 000 ლარი;

ნაკრების კვება და სასტუმროში ცხოვრება — 28 000;

„ლოკომოტივის“ სტადიონის იჯარა — 22 000;

საქართველო—საბერძნეთის ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩების მსაჯებისა და დელეგატების, სულ 11 კაცის, მასპინძლობა და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ცხოვრება — 15 000;

საბერძნეთის ნაკრებისთვის საჯარჯიშო მოედნების იჯარა და ტრანსპორტით მომსახურება — 8 000;

საქართველოს ნაკრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა — 6 000;

მატჩის ბილეთების, აფიშების, პროგრამების, საშვების დაბეჭდვა — 15 000;

სამედიცინო მომსახურეობა — 3 000;

ჩვენი ნაკრების სათამაშო ფორმა — 3 000;

სტადიონზე წესრიგის დაცვა და კონტროლირება — 15 000.

ფეხბურთის ფედერაცია, ბერძნებთან წარმატების შემთხვევაში, ნაკრების ფეხბურთელების პრემიალურ თანხას მწვრთნელთან შეთანხმების შემდეგ განსაზღვრავს.

ახლა კი ბილეთების ამბავი, რომელიც გენმდივანმა ქალაქის სპორტის სამსახურის უფროს გიორგი უდესიანთან შეხვედრამდე და შეთანმხებამდე, ანუ ბილეთების გაიაფებამდე გვითხრა.

ბერძნებთან მატჩზე უფასო ბილეთები დარიგდება:

450 ცალი — ტრიბუნების პირველ რიგში ჯარისკაცებისთვის.

500 — ტრიბუნების მეორე რიგში ბავშვებისთვის.

250 — უშიშროების სამსახურისთვის.

253 — პრეზიდენტის დაცვის სამსახურისთვის.

120 ადგილი — პრესას.

135 ადგილი — სტუმრებს, საბერძნეთის დელეგაციას, 900 ცალი კი მოსაწვევი დარიგდება.

ვალერი ჩოლარიას თქმით, ყველაფერი ეს უფასოდ.

მისი თქმითვე, დაბეჭდილია 340 ცალი 50-ლარიანი ბილეთი სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე. ყველა ეს ბილეთი უკვე გაყიდულია.

7 600 ბილეთის ფასი იქნება 40 ლარი, ამათგან 2 000 ცალი უკვე დაჯავშნულია.

30-ლარიანი 5 140 ცალი ბილეთი და 20-ლარიანი 4 950 ცალი ბილეთი კი (პირველი გვერდიდან ალბათ, უკვე იცით) აღარ გაიყიდება. უფრო სწორად, მათი ფასი 10 ლარი იქნება. 10-ლარიანი იქნება კიდევ 4 000 ცალი ბილეთიც.

ბილეთების გაყიდვა უახლოეს დღეებში დაიწყება.

ვალერი ჩოლარიამ ისიც გვითხრა, რომ ფედერაციას სპონსორებისგან — „ფერო“ და „ყაზბეგი“ — წლეულს ერთი თეთრიც არ მიუღია.

შარშან კი „ყაზბეგმა“ და „ფერომ“ 75-75 ათასი დოლარი ჩარიცხეს ფედერაციის ანგარიშზე. ეს თანხა და პლუს რამდენიმე ათასიც, ფედერაციას მწვრთნელების ანაზღაურება უჯდება.

ძოგა ინასარიძე

გუშინ, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, „ლოკომოტივის“ სტადიონს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის სახელი ეწოდა

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ჩელსი 1:0 ვესტ ბრომვიჩი

ჩემპიონატი. XXXVIII ტური
როტერჰემი 1:0 რედინგი
ბრაიტონი 2:4 უიგანი
კარდიფი 0:1 იფსვიჩი
ჯილინგემი 2:1 სტოკი
მილუოლი 1:1 ძოვენთრი
შეფილდი 1:1 პრესტონი
უოტფორდი 2:2 ლესტერი
ვესტ ჰემი 1:1 ძრიუ
ვულვერჰემპტონი 2:0 ბარნლი
სანდერლენდი 5:1 პლიმუთი

I ლიგა. გადადებული მატჩი
ოლდემი 0:2 ბრენტფორდი

კონფერენსი
გადადებული მატჩები
ჰერეფორდი — კარლაილი *გადაიდო*
ექსეტერი 3:1 ბარტონი
სკარბორო 2:2 ტემუორთი
უოკინგი — გრეიესენდი გადაიდო

შოტლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ფოლკირკი 0:0 კლაიდი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
ალოა — მორტონი გადაიდო
ეარი 0:1 ბრეჩინი

III დივიზიონი
გადადებული მატჩი
კოუდენბითი 1:1 ელგინი
ალბიონი — ისტ ფაიფი გადაიდო
ისტ სტირლინგი 3:2 სტენჰაუზმური

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა
გადადებული მატჩი
პრჟიბრამი 1:1 ლიბერეცი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
კილი 0:1 ჰადერბორნი

ავსტრია

თასი. 1/8 ფინალი
აუსტრია (ლ) 1:1 (2:2დდ. 7:6პენ) პაშინგი
კერნტენი 3:0 კაფენბერგი

23 ჟირესმა საქართველო დათვალა

მემარჯვენე ფრანგის მარჯვე მიგნებები

გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც 26 მარტს ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს, 30 მარტს კი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსან თურქეთს დაახვედრებს.

ჟირესის სიაში 23 ფეხბურთელია, ამათგან 21 ლეგიონერია, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კი მხოლოდ — ორი, ორივე მეკარეა, თბილისის სპარტაკელი აკაკი დევაძე და ტორპედოელი მირზა მერლანი. მწვრთნელის ამ რჩეულთაგან სხვადასხვა დროს ნაკრებში ყველა ყოფილა გამოძახებული, თუმც ოფიციალურ მატჩში არც ერთხელ უთამაშიათ მირზა მერლანს, ლევან მაღრაძეს და გოგიტა გოგუას. ნაკრებს უბრუნდება, შარშანწინ ალბანეთში მატჩის შემდეგ დისკვალიფიცირებული, ჰოლანდიური „ტვენტეს" ნახევარმცველი გოგა გახოკიძე.

საბერძნეთ-თურქეთთან შეხვედრებისთვის გამოძახებულთა შორის ახალი სახელები არ არის, თუმც ალენ ჟირესისთვის პრობლემა ის იქნება, რომ ერთბაშად ათ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა აკლია და ზოგიერთიც ახალგამოჯანმრთელებულია. თუმც მწვრთნელი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

ჩვენი გუნდი ორშაბათს სასტუმრო „ბატესტაში" შეიკრიბება და საბერძნეთთან მატჩამდე დღეში ორჯერ „ოლიმპის" სტადიონზე ივარჯიშებს.

— შეკრებაზე 23 ფეხბურთელი მარტივი მიზეზის გამო გამოვიძახე — ზედიზედ ორი მატჩი გვაქვს და ვინმე რომ დაშავდეს ან დისკვალიფიკაცია მიიღოს, შემცვლელი უნდა გვყავდეს. მით უმეტეს, რამდენიმე ფეხბურთელი ბერძნებთან თითო ყვითელი ბარათით ითამაშებს და კიდევ თუ გააფრთხილებენ, თურქეთთან დაგვაკლდებიან. სხვა მხრივ კი, ნაკრებში სერიოზული პრობლემები არ არის. მოგვარებულია ყველა საორგანიზაციო საკითხი და რამდენიმე დღეში მთელი შემადგენლობით შევიკრიბებით. დღესდღეობით ჩვენ მხოლოდ საბერძნეთთან მატჩზე ვფიქრობთ, ვითამაშებთ და მერე უკვე თურქეთზე გადავერთვებით — თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა და განაგრძო:

— ამ ეტაპზე ეს არის საქართველოს ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა, ყველა საუკეთესო გამოძახებულია. რა თქმა უნდა, ცუდია, რომ რამდენიმე ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ ამ ფეხბურთელების მჯერა და დარწმუნებული ვარ, ორივე მატჩში შესაძლებლობების მაქსიმუმს გააკეთებენ. მაგალითად, ზურაბ ხიზანიშვილს ლიტვასთან ამხანაგური თამაშის წინაც ჰქონდა მსგავსი პრობლემა, მაგრამ იმ დღეს ზურა მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

— გიორგი ქინქლაძის და ვასილ გვიაძის გამოძახება ამჯერად საჭიროდ არ ჩავთვალე. თუმც კმაყოფილი ვარ, რომ ლიტვასთან მატჩისას ორივე ფეხბურთელი გავიცანი. ლიტვასთან ორივემ დამაკმაყოფილებლად ითამაშა, მაგრამ, ვიმეორებ, ამ ეტაპზე მათი გამოძახებისგან თავი შევიკავე. ისე კი, ნაკრებისგან შორს არავინაა და ამ ფეხბურთელებს მომავალში გამოვიყენებთ.

— ლევან მაღრაძე ლიტვასთან მატჩისთვისაც მოვიწვიე, მაგრამ ის დაშავებული იყო. მერე კი გამოჯანმრთელდა და ჩამოსვლასაც აპირებდა, თუმც მისი შემცვლელი უკვე გამოძახებული გვყავდა და მაღრაძის საბერძნეთიდან წამოსვლის აუცილებლობაც აღარ იყო. ის კარგი ფეხბურთელია, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს, სადაც ნაკრებს მეტ-ნაკლები პრობლემა აქვს. მეტოქეებს კი ამით უსარგებლიათ და სწორედ მარჯვნიდან გვიტევდნენ ხოლმე. ხანდახან იძულებულიც ვიყავი, მარჯვენა ჰავბეკად სხვა ამპლუის ფეხბურთელი მეთამაშებინა.

— „ალანიაში" ექვსი ქართველი თამაშობს და მათ თამაშზე დასასწრებად ვგეგმავდი ვლადიკავკაზში ჩასვლას, მაგრამ დიდთოვლობის გამო ოსეთში წასვლას ვეღარ ვახერხებ. ვიმედოვნებ, ალანიელი ქართველები შეკრებაზე კარგ ფორმაში ჩამოვლენ. ფედერაციას კი მადლობა იმისთვის, რომ გუნდის მოსამზადებლად ყველანაირი პირობა შემიქმნა. რაც მოვითხოვე, ყველაფერი შემისრულეს. ფედერაცია და სპორტის სამინისტრო კი სჯობდა ერთმანეთში მორიგებულიყვნენ და მათ შორის დავა საზოგადოებამდე არ მისულიყო. შესაძლოა, ამ დაპირისპირებამ ნაკრების წევრებზე უარყოფითად იმოქმედოს. საბერძნეთთან და თურქებთან მატჩებისთვის მთელი ქვეყანა უნდა იყოს მობილიზებული და ყველამ ერთად წარმატებაზე ვიფიქროთ.

— საბერძნეთის ნაკრებზე რა გითხრათ — თბილისში ევროპის ჩემპიონი ჩამოდის, ვფიქრობ, ეს საკმარისია მეტოქის ძალის შესაფასებლად.

— საბერძნეთი ნელ-ნელა იკრებს ძალას და თამაშიდან თამაშამდე უმატებს, თუმც ახლა ისეთი გუნდიც არაა, ევროპის ჩემპიონატზე რომ იყო. პორტუგალიაში საბერძნეთს ფავორიტად არავინ თვლიდა და ფეხბურთელებიც თავისუფლად თამაშობდნენ, ახლა კი შედარებით შებოჭილები არიან, მათ ხომ ყველა ჯგუფის ფავორიტად თვლის. ოტო რეჰაგელი, რა თქმა უნდა, ძლიერი მწვრთნელია და თან საბერძნეთის ნაკრების ყველა ფეხბურთელს ძალიან კარგად იცნობს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ისე კი, მერჩივნა, საქართველოს საბერძნეთთან პირველ ან მეორე ტურში ეთამაშა.

— რამდენი ქულა დამაკმაყოფილებს ამ ორ მატჩში? რა თქმა უნდა, ექვსი. თუმც რამდენიმე სხვა ვარიანტიც არის.

— ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე ლაპარაკი არ ყოფილა და ახლა ამის დრო არც არის. ჩემი საფიქრალი ჯერ მხოლოდ საბერძნეთთან მატჩია, მერე კი თურქეთთან.

— საქართველოს ჩემპიონატიდან სულ ორი ფეხბურთელი მყავს გამოძახებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატის მატჩებს აღარ დავესწრები. სტადიონზე თუნდაც ჩემი ყოფნა ფეხბურთელების მოტივაციისთვისაა საჭირო, ყველას სურს, ნაკრების მწვრთნელის თვალწინ თავის გამოჩენა. ახალგაზრდებს მეტი სტიმული ექნებათ, მომავალში ნაკრებს ისინი აუცილებლად დასჭირდებიან.

— ამ მატჩამდე საქართველოს ნაკრებში სიახლე ის იქნება, რომ საფრანგეთიდან ჩამოვიტანე თანამედროვე სამედიცინო აპარატურა და ნაკრების ფეხბურთელების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესასწავლად პრობლემა აღარ გვექნება. სხვა მხრივ კი, საქართველოს ნაკრები ძველებური შემართებით მოემზადება. შეკრების დაწყებიდან ყოველ დღე მოვუმატებთ და ვიმედოვნებ, მაქსიმუმს სწორედ ბერძნებთან თამაშის დაწყებისთანავე მივაღწევთ.

კობა ინასარიძე

ჟირესის ნაკრების ახალწვეულები: ლევან მაღრაძე–

ჟირესის სია

მეკარეები			
აკაკი დევაძე	სპარტაკი, თბილისი	28.11.71	19-0
გიორგი ლომაია	ხიმკი, რუსეთი	08.08.79	15-0
მირზა მერლანი	ტორპედო, ქუთაისი	05.10.80	0-0
მცველები			
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი, გერმანია	26.06.81	11-0
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი, შოტლანდია	06.10.81	29-0
ლაშა სალუქვაძე	რუბინი, რუსეთი	21.12.81	3-0
კახა კალაძე	მილანი, იტალია	22.02.78	40-0
კახა მჟავანაძე	ანჟი, რუსეთი	02.10.78	7-0
გიორგი შაშიაშვილი	ალანია, რუსეთი	01.09.79	11-0
ალეკო ამისულაშვილი	დნიპრო, უკრაინა	20.08.82	8-0
ნახევარმცველები			
ლადო ბურდული	ალანია, რუსეთი	26.02.80	12-1
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი, გერმანია	10.10.76	33-1
ლევან კობიაშვილი	შალკე, გერმანია	10.07.77	50-3
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი, რუსეთი	04.08.81	12-3
ლევან მაღრაძე	ქსანთი, საბერძნეთი	05.12.77	1-0
გოგიტა გოგუა	ხიმკი, რუსეთი	04.10.83	1-0
დავით კვირკველია	ალანია, რუსეთი	27.06.80	12-0
გოგა გახოკიძე	ტვენტე, ჰოლანდია	09.11.77	15-2
თავდამსხმელები			
შოთა არველაძე	რეინჯერსი, შოტლანდია	22.02.73	52-19
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი, გერმანია	23.10.77	23-8
გიორგი დემეტრაძე	მეტალურგი, უკრაინა	26.09.76	34-6
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი, უკრაინა	20.08.80	3-0
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი, რუსეთი	10.11.77	15-5

მწვრთნელი: ალენ ჟირესი

– მირზა მერლანი და გოგა გახოკიძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
ბავშვური ბიულეტენი

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

24 ტური

ქასრაშვილი კოლოს წინააღმდეგ

„ლოკომოტივს“ და „ვიტ ჯორჯიას“ გასარჩევ-გასარკვევი ბევრი აქვთ

ბ. შარაძე დიულეტენის ფოტო

უბრალო ტური არ გეგონოთ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღეს ფოთში თბილისის „დინამოს“ ახალი, დროებითი მწვრთნელის დებიუტია და როგორ ითამაშებს ხვიჩა ქასრაშვილის „დინამო“, ძალიან საინტერესოა. ტურში თვალსასაერო სხვაგანაც იქნება — თბილისში, ქუთაისში და ზესტაფონშიც, სადაც „დინამოს“ ორჯერ მძლეველი გუნდი ბინადრობს...

თბილისი. 16 მარტი. 15 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); **ინსპექტორი:** ნ. კაკულია

ჩემპიონმა ბოლო ორ მატჩში ფრეები ითამაშა, ხოლო „ლოკომოტივი“ ის გუნდია, მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე მეტი ფრე რომ მოუნაგრია. ეს გუნდები ცხრილში მეზობლები არიან, რაც თამაშს კიდევ უფრო მატებს ეშხს.

„ლოკომოტივსაც“ და „ვიტ ჯორჯიასაც“ მეორე ეტაპის წინ ახალი მწვრთნელები დაუნიშნეს, შემადგენლობა კი „ლოკომოტივს“ უფრო შეეცვალა, ვიდრე „ვიტ ჯორჯიას“.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ გვითხრა, რომ მისი გუნდი ამ სეზონში თასისთვის და სამეულში მოხვედრისთვის იბრძვის. მეორე ეტაპისთვის „ლოკომოტივში“ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა — ალავერდაშვილი, კახელიშვილი და სეთურიძე — და აკობია ამ სამეულით კმაყოფილია. რაც შეეხება ლოკომოტიველთა ბრაზილიელებს რამონსა და ჟეანს, მათზე აკობიამ თქვა: „ისინი ადრე მოყვარულთა გუნდებში გამოდიოდნენ, კვირაში ორჯერ უწევდათ ფეხბურთის თამაში და ნორმირებული სავარჯიშო რეჟიმი არ ჰქონიათ. ამიტომაცაა, რომ ამ დროისთვის ფიზიკურად კარგად არ არიან მზად, თუმცა ნელ-ნელა უმატებენ“.

„ლოკომოტივის“ მწვრთნელმა დღევანდელ მეტოქეზეც მოგვახსენა: „ვიტ ჯორჯია“ შეთამაშებული გუნდია, რომელსაც მწვრთნელის ხელი ეტყობა. ოთარ მარცვალაძე ძალიან სახიფათო ფორვარდია, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ სხვა ფეხბურთელების მიმართაც ფრთხილად უნდა ვიყოთ, მათ საკმაოდ კარგად ვიცნობ“.

მასპინძლებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი როინ ონიანი, ხოლო ფორვარდი ირაკლი სირბილაძე ტრავმირებულია და მისი თამაში სათუოა. სამაგიეროდ, „ლოკომოტივს“ ეყოლება მიხეილ ბობოხიძე, რომელიც წინა ტურში დისკვალიფიცირებული იყო. მოკლედ, ვაკეში კარგი ძიგძიგი უნდა გაჩაღდეს.

ფოთი. 16 მარტი. 14 საათი. ფაზისი

კოლხეთი — დინამო

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **ინსპექტორი:** ე. სილაგავა

ხვიჩა ქასრაშვილი

ბადრი ჯიმლეხიძის ფოტო

ფოთში თამაში „დინამოს“ ტრადიციულად უჭირს. იქნებ ეს ფოთური, ჯიშიანი კოლოების ბრალიცაა, მაგრამ „დინამოს“ არაერთხელ დასცდენია ფეხი ფოთში. თანაც ახლა „კოლხეთი“ არგავარდნისთვის იბრძვის, წინა ტურში შინ „ლოკომოტივთან“ წააგო და თუ ასე გააგრძელა...

პოტენციურად, რა თქმა უნდა, „დინამო“ „კოლხეთზე“ ძლიერია, მაგრამ რა ხდება „დინამოს“ თავს, ზუსტად ჯერ ალბათ არავინ იცის. ზოგადად, ახალი მწვრთნელის ხელში გუნდები პირველ მატჩებს კარგად თამაშობენ. ხვიჩა ქასრაშვილი შემადგენლობაში რევოლუციურ ცვლილებებს ალბათ არ მიმართავს, თუმცა ვინ იცის...

ქუთაისი. 16 მარტი. 14 საათი. ტორპედო

ტორპედო — ბათუმი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი); **ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

„ტორპედომ“ თავისი თამაში თუ დაიჭირა, რიგიანი შანსი აქვს, მეოთხედ გახდეს საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან საჩემპიონო თამაში მეორე ეტაპზე „ტორპედოს“ აქამდე არ უჩვენებია.

წინა ტურში „ბათუმმა“ შინ კი წააგო, მაგრამ ამირან გოგიტიძის გუნდი დაცვიდან თამაშს საკმაოდ კარგად ახერხებს და ალბათ დღესაც ასე ითამაშებს. გოგიტიძე ერიდება თავდასხმაში ერთდროულად ბორის გონჩაროვისა და ლევან ხომერიკის გამწესებას, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშს ამჯობინებს, თუმც ქუთაისში ვინძლო განსხვავებული ტაქტიკა გამოიყენოს.

თბილისი. 16 მარტი. 14 საათი. ოლიმპი

თბილისი — სიონი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი); **ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ფეხბურთელებით დაცლილი „თბილისი“ მეორე ეტაპზე ისე ყოჩაღობს, რომ უკვე ლიდერია. თუმც გუნდის პერუელი დამრიგებელი ლუის ცაკარიასი წუხს, მწირი რეზერვი გვაქვსო და არც ტყუის — თუ ვინმე მოისაკლისა, ის გამოუცდელი ჯეელით უნდა შეცვალოს.

რესურსის მხრივ არც „სიონს“ აქვს საქმე მოლად კარგად, მაგრამ აქ მხოლოდ ადამიანურ რესურსზე როდია საქმე — „სიონს“ ქულათა მწირი მარაგიც აქვს.

თუმც ცხრილი ნუ მოგატყუებთ — ავლაბარში მძიმე ბრძოლაა მოსალოდნელი.

პირველი წრის „თბილისი“ — „სიონი“ გვარიანად დაძაბული გამოდგა

ბადრი ჯიმლეხიძის ფოტო

ზესტაფონი. 16 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დილა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

თუ „ზესტაფონი“ არხეინად არ გავა მოედანზე, სენსაცია არ უნდა მოხდეს — „დილა“ მასპინძელთა მძლეველი არაა.

ზესტაფონში ალბათ ზეიმი იქნება, რადგან ოთხი დღის წინ „ზესტაფონმა“ თბილისში დაამარცხა „დინამო“. როგორც უნდა იყოს, ზესტაფონში ამ დროისთვის გულშემატკივართა ყველაზე მაღალი დასწრებაა და ასეთ სტადიონზე თამაში და მატჩის რეპორტაჟის წერა ძალიან კარგია.

თბილისი	23	14	4	5	45:26	46
დინამო	23	14	3	6	45:23	45
ტორპედო	23	12	7	4	37:19	43
ვიტ ჯორჯია	23	10	7	6	37:27	37
ლოკომოტივი	23	9	10	4	31:19	37
ზესტაფონი	23	10	2	11	22:38	32
ბათუმი	23	6	8	9	25:21	26
კოლხეთი	23	6	5	12	23:31	23
სიონი	23	6	3	14	21:47	21
დილა	23	2	3	18	15:50	9

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

ბერძნების ვირტუალური შემოტევა

საბერძნეთი

ბერძნები უკვე დიდ გულზე არიან. გუშინ ერთ-ერთ ბერძნულ ვებ-გვერდზე საინტერესო გამოკითხვას წავაწყდით. კითხვა ასეთი იყო: დაამარცხებს თუ არა საბერძნეთი საქართველოს საქართველოში?

გულშემატკივართა 91,43 პროცენტს საქართველოს დამარცხებაში ეჭვი არ შეპარვია; 4,29 პროცენტი მოგებას ვერ იჯერებს; ამდენივემ კი თავი შეიკავა.

ერთი სიტყვით, ოტო რეჰაგელის ბიჭებს გულშემატკივრები უეჭველ სამ ქულას სთხოვენ და ერთ-ერთმა ქომაგმა ისიც დაწერა, დარწმუნებული ვარ, თბილისში 2:0 მოვიგებთო.

რაშია დარწმუნებული ბერძენი ქომაგი, ვერ გეტყვით. იმას კი შეგახსენებთ, რომ აქამდე, საქართველო და საბერძნეთი სამჯერ გადაჭყრიან ერთმანეთს და სამჯერვე ბერძნებმა მოიგეს:

08.05.96 ამხანაგური მატჩი: საბერძნეთი 2:1 საქართველო

14.10.98 ევროშესარჩევი: საბერძნეთი 3:0 საქართველო

05.06.99 ევროშესარჩევი: საქართველო 1:2 საბერძნეთი

მგონი, დროა, რევანში ავიღოთ...

ძახა შალამბერიძე

შემოსამართლეთ სასამართლო გადაიდო

უკრაინა

კიევის სააპელაციო სასამართლო „ბლოხინის საქმეს“ 17 მარტს განიხილავს. პროცესი მოსამართლე სერგეი ამელინის ავადმყოფობის გამო სწორედ ხუთშაბათისთვის გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის რადას დეპუტატთა არცთუ მცირე ჯგუფი ასევე დეპუტატ და იმავდროულად უკრაინის ნაკრების თავკაც ოლეგ ბლოხინს ორი თანამდებობის შეთავსებაში ადანაშაულებს, რამაც გვარიანი სკანდალი გამოიწვია ქვეყანაში.

ბლოხინის ადვოკატმა ვიქტორია პიგულსკაიამ კი ჟურნალისტებს ერთხელაც განუცხადა, ჩემი კლიენტი უდანაშაულოა და იმედი მაქვს, სასამართლო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებსო.

ვნახოთ...

ძახა შალამბერიძე

ოლსენის 22 ვიკინგი

26 და 30 მარტს დანიას ორი მატჩი ელის — ყაზახეთთან და უკრაინასთან. დანიელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა უკვე გამოაქვეყნა საამმატჩებოდ შეგულებული 22 ფეხბურთელის სია, რასაც აქვე გთავაზობთ.

მეკარეები: თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), იესპერ კრისტიანსენი (ვიბორგი);

მცველები: ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია), პერ ნილსენი (ბრონდბიუ), მარტინ ლაურსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), ესბიორნ სენელსი (ბრონდბიუ);

ნახევარმცველები: დანიელ იენსენი (ვერდერი, გერმანია), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), თომას გრავესენი (რეალი, ესპანეთი), რასმუს ვურტსი (ოლბორგი), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი);

თავდამსხმელები: მიხაელ სილბერბაუერი (კოპენჰაგენი), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი), იესპერ გრონკიაერი (ატლეტიკო, ესპანეთი), იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), ჰეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია), მორტენ სკუბო (ბრონდბიუ).

აკაკი ხუბუტიას კაუნასელი ოლიგარქი აქებს

ლიტვის რჩეული გუნდი „კაუნასი“ ქვეყნის ჩემპიონატს ორი ქართველით შეხვდება. ექსთბილისელი გივი კვარაცხელიას გარდა, ვალდას ივანაუსკასის გუნდმა **აკაკი ხუბუტია** შეიძინა და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა. ხუბუტიამ შარშან შემოდგომაზე 19-წლამდელთა ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ღონივრად ითამაშა, სამ მატჩში ორი გოლი შეაგდო და ამ ასაკის ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა — ტანმაღალ მცველს დღეს შეუსრულდა 19 წელი.

„კაუნასი“ რომ ლიტვის საკლუბო ფლაგმანად იქცა, ეს პირველ რიგში კლუბის პრეზიდენტ ვლადიმირ რომანოვის დამსახურებაა. ამ კაცის გავლენა ლიტვის მასშტაბებს სცდება, იგი შოტლანდიური „ჰართსის“ მფლობელიცაა და პერსპექტიული ლიტველი ფეხბურთელები ედინბურგულ კლუბში მიჰყავს.

აკაკის ლიტვაში რომ დავუკავშირდით, ლამის მეცხრე ცაზე იყო...

რომანოვი ლიტვაშიც მეფური გვარია?

— „კაუნასში“ 14 თებერვალს ჩამოვედი და 26-ში კონტრაქტიც გავაფორმე. აქამდე „ლოკომოტივი 2“-ში, „დინამო 2“-ში და „ოლიმპში“ ვთამაშობდი. წინა ზაფხულს ბელარუსულ „ზვეზდაში“ გადავედი, სადაც ნახევარი სეზონი ვითამაშე. 16 წლის ასაკში კიევის „დინამოს“ დუბლებშიც ვისინჯებოდი ონიშჩენკოსთან, მერე კი „ჩერნომორეცის“ მწვრთნელმა გენადი ალტმანმაც მიმიწვია, თუმც იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ.

— „კაუნასში“ როგორ მოხვდი, შარშან სლოვაკეთში გამართულ შესარჩევ ციკლში შეგამჩნიეს?

— სლოვაკეთშიც და ბელარუსშიც. საქმე ისაა, რომ რომანოვს ბელარუსშიც აქვს კავშირები. რუსული გუნდების ვარიანტებიც მქონდა — მოსკოვის „დინამო“, „ლოკომოტივი“ და „სატურნი“ მიწვევდნენ, მაგრამ ყველამ „კაუნასში“ გადასვლა მირჩია. მართალიცაა, რამდენი 17-18 წლის ბიჭი ჩაკარგულა რუსულ კლუბებში, ხუთი წელი უქმად ყოფილან გუნდში და კარიერა დანგრეულიათ. „კაუნასი“ კი სულ სხვაა, არჩევანში არ შევმცდარვარ...

— ჯერ მხოლოდ 19 წლის ხარ და „კაუნასის“ ძირითადში მოხვედრა არ გაგიჭირდება?

— ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ახლა ლიტვის ქალაქ პალანგაში ტურნირი ჩატარდა, სადაც „კაუნასმა“ ხუთი მატჩი გამართა და სულ ძირითადში ვიყავი. აქ სულ სხვა მიდგომაა, თავში ხელს არავინ წამოგარტყამს და ტყუილუბრალოდ არ დაგჩაგრავენ, ფეხბურთის და ფეხბურთელის ფასი იციან. ძალიან მეგობრული გუნდია „კაუნასი“, თითქმის სულ 25-26 წლის გამოცდილი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ახალგაზრდებს მხარში უდგანან. აი, რომანოვი ამხელა კაცია და როგორც მისი ტოლი, ისე მიყურებს. საქართველოში ზოგიერთებმა რომ იციან, ისე კი არ იბღინძება... თუნდაც ბელარუსში, ფეხი რომ წამცდენოდა, არავინ დამინდობდა.

— მაინც როგორ შეგხვდა რომანოვი?

— კაბინეტში შემიყვანა და მამაშვილურად დამარიგა, წვრილ-წვრილ საფეხბურთო დეტალებშიც კარგად ერკვევა.

— რომანოვმა ერთი ლიტველი, დეივიდას ჩესნაუსკისი უკვე მოაწყო „ჰართსში“...

— რომანოვმა მითხრა, შენ იცი, სწორად იმუშავე და „ჰართსში“ გადახვალო. ჩესნაუსკისის გარდა მან მალინაუსკასი და ზიკისიც წაიყვანა „ჰართსში“ — ორივენი ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობენ და ამას წინათ თბილისშიც იყვნენ. ისე, რომანოვი კიდევ ორ ძლიერ ლიტვურ კლუბს პატრონობს, თუმც ძირითად აქცენტს „კაუნასზე“ აკეთებს.

— „კაუნასს“ ლიტვის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვალდას ივანაუსკასი წვრთნის. ის როგორი თვალით გიყურებს?

— თბილი კაცია, ზრდილობიანად მიხსნის ყველაფერს. ეტყობა, რომ ბევრი უნახავს, მაგრამ ტრაბახი არ უყვარს.

— ახლა ალბათ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრაზეც ფიქრობ...

— ცხადია, მაგრამ საბერძნეთთან და თურქეთან გამომიძახებენ თუ არა, ჯერ არ ვიცი. ის კი გავიგე, რომ ამაზე რაღაც ლაპარაკი არის და ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

თქვენი ინტერვიუ

ზურაბ ხიზანიშვილთან

«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია



რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.

ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.

მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 18 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ოლა ლიონს არ დაიშლის


ჟუნინიო პერნამბუკანო

„ლიონის“ პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა ქომაგებს შეჰპირდა, რომ მიკაელ ესიენი და ჟუნინიო მომავალ სეზონშიც მის გუნდში იქნებიან.

განელი ნახევარმცველი ესიენი არსენ ვენგერს „არსენალისთვის“ სურს და მის შესაძენად 17 მილიონი გირვანქაც გაუმზადებია, ხოლო ჟუნინიოს, რომელსაც „ლიონთან“ კონტრაქტი 2006 წელს უმთავრდება, „მანჩესტერ იუნაიტედისკენ“ მიუწევს გული.

ჟან მიშელ ოლამ განაცხადა: „ვფიქრობ, „ლიონი“ ასე ძლიერი არასოდეს ყოფილა. უკვე ვიწყებთ მომავალი სეზონისთვის მზადებას და ჩვენი მიზანია, რომ გუნდი კიდევ უფრო გავაძლიეროთ. თუ გვსურს, 2006-ში ევროსარბიელზე უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ, მაშინ ბირთვი უნდა შეინარჩუნოთ და გეტყვით, რომ ჟუნინიოს და ესიენს კვლავაც „ლიონის“ მაისურით ნახავთ. ბრაზილიელთან კონტრაქტის გაგრძელებაზე ვისაუბრეთ და თითქმის მოვრიგდით კიდეც, რაც შეეხება განელს, მასაც გაუმჯობესებულ პირობებს ვთავაზობთ“.

„ლიონის“ მწვრთნელ პოლ ლე გუენს კლუბთან კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება და პრეზიდენტმა ამის შესახებ თქვა: „ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გასვლით პოლ ლე გუენის საკითხი გადაწყდა. მე გასული წლის ნოემბერშიც გითხარით, რომ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება მსურს“.

ვაჟა ხუციშვილი

პირესის ლურჯი ნატვრა


რობერ პირესი ნაკრებზე ფიქრობს

ნაკრებიდან გაძევებული რობერ პირესი იმედოვნებს, რომ რაიმონ დომენეკი აპატიებს და გუნდში კვლავ უხმობს. „არსენალის“ ფეხბურთელი ბოლო ორ ამხანაგურ მატჩში არ გამოიძახეს, რადგან გასული წლის შემოდგომაზე მან შეცვლის გამო მწვრთნელი გამოლანძღა.

31 წლის ნახევარმცველმა აღირა, რომ შეცდა, ბოდიშიც მოიხადა და ახლა შვეიცარიასთან და ისრაელთან შესარჩევი შეხვედრებისთვის დომენეკის ზარს ელის.

„ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც მაშინ, როცა ნაკრებში მეორედ მიხმეს — ამბობს პირესი — თითქოს ერთხელ ვითამაშე ეროვნულ გუნდში და ახლა მეორედ მიწვევას ველი. სწორედ ასე იყო ჩემი სანაკრებო დებიუტის შემდეგ. ძალიან მსურს, რომ კვლავ მოვირგო ლურჯი მაისურა და მე-80 მატჩში ვითამაშო“.

რობერ პირესმა განაცხადა, სანაკრებო კარიერას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე მაინც არ დავასრულებ, თუნდაც რაიმონ დომენეკმა არ გამომიძახოსო: „ჯერ წასვლაზე არ ვფიქრობ. მართალია, მეწყინა, როცა თებერვალში, შვედებთან სამატჩოდ მწვრთნელს არ გავახსენდი, მაგრამ არა უშავს, ეს ტრაგედია არ არის“.

რაიმონ დომენეკი ნაკრების შემადგენლობას დღეისთვის გააცხადებს.

ვაჟა ხუციშვილი

ლიოლის ხათრით


კლოდ პუელის „ლილმა“ საფრანგეთი ერთი ადგილით გაამდიდრა

ინტერტოტოდან უეფას თასზე გასულმა „ლილმა“ მერვედფინალამდე მიაღწია და უეფამ ეს ფაქტი საფრანგეთს დაუფასა — ამ ზაფხულს ინტერტოტოს თასზე ფრანგებს სამ ადგილს უბოძებენ. შარშან „ლილთან“ ერთად „ნანტმაც“ დაიწყო, მაგრამ ტოტოს ნახევარფინალში „ლიბერეცთან“ დამარცხდა.

საფრანგეთის სამივე კლუბი საზაფხულო ინტერტოტოში მეორე ეტაპიდან ჩაერთვება, მესამე, უეფასგან ნაბოძები ადგილი კი ჩემპიონატში მერვე საფეხბურთზე გასულ გუნდს ერგება.

ვაჟა ხუციშვილი

მიჰბაძეთ გი რუს!

„ოსერის“ მწვრთნელმა გი რუმ მადრიდის „რეალის“ დარიგება გადაწყვიტა. „ლიონს“, „ოსერსა“ და „ჩელსის“ მიჰბაძონ, თუ სურთ, რომ ევროპაში გაიბრწყინონო, თქვა რუმ.

მხცოვანი მწვრთნელის აზრით, „რეალის“ პრობლემა კლუბის პრეზიდენტსა და ვანდერლეი ლუქსემბურგოს ურთიერთობაში ბუდობს“.

მადრიდში გუნდს ფლორენტინო პერესი აკეთებს, ანც ყიდულობს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მას სურს, მწვრთნელს კი თითქმის არასოდეს კითხება. სხვაა კლუბებში, რომლებიც წარმატებას აღწევენ, პრეზიდენტი მწვრთნელის საქმეში უხეშად არ ერევა“. მაგალითად, „ჩელსის“ ეს საკითხი კარგად აქვს მოგვარებული, ფულიანი პატრონი თავის საქმეს აკეთებს, მწვრთნელი — თავისას. „ოსერისთვის“ ყოველთვის ვერ ვყიდულობ სასურველ ფეხბურთელებს, მაგრამ არასოდეს ვყიდულობ მათ, რომლებიც მე არ მინდა“.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან ერთად მსოფლიოს ირგვლივ

იტალიურ „პარმას“ ერთი თვის განმავლობაში წამყვანი ნახევარმცველის, მარკო მარკიონის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. მან „ატალანტასთან“ მატჩში მუხლი დაიზიანა და უკვე ოპერაცია გაუკეთეს. დაშავებულია სტეფანო ბეტარინიც, თუმც რამდენ ხანს ვერ ითამაშებს, ექიმები ჯერ ვერ ამბობენ.

ესპანური „ხეტაფეს“ ახალგაზრდა ვარსკვლავი გაბი ფერნანდესი მიმდინარე სეზონში მინდორზე ვეღარ გავა. 21 წლის ფეხბურთელს გასულ უქმეებზე „რეალის“ ნახევარმცველ ტომას გრავესენთან შეჯახებისას მარცხენა მუხლის მყესები გაუწყდა და სარეაბილატაციოდ დაახლოებით სამი თვე დასჭირდება. „რეალის“ დამარცხება ძალიან გამიხარდა, მაგრამ ეს ერთობ ძვირად დაგვიჯდა. გაბი გუნდში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა“ — აღნიშნა „ხეტაფეს“ თავკაცმა კიკე ფლორესმა.

ინგლისური „ბლექბერნის“ უელსელმა ლეგიონერმა რობი სევეჯმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. „ვგრძნობ, წასვლის დრო მოვიდა. მინდა, ჩემს ოჯახს მეტი ყურადღება დავუთმო და მხოლოდ „ბლექბერნში“ თამაშზე ვიფიქრო“ — განაცხადა 30 წლის ნახევარმცველმა.

იტალიური პრესა იუწყება, რომ „იუვენტუსისა“ და „რომას“ მოლაპარაკება ანტონიო კასანოს ტურინში გადაბარგების შესახებ სწორედ ახლა შედის გადამწყვეტ ფაზაში. ჭორების თანახმად, „ბებერ ქალბატონს“ კრისტიან კივუს შეძენაც აქვს გადაწყვეტილი და ორივე ფეხბურთელში დედაქალაქელებს 40 მილიონ ევროს სთავაზობს.

ესპანური „ლევანტე“ და იოჰან მიალბი კონტრაქტს წყვეტენ. შვედეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ამჟამად ტრავმირებულია და ზაფხულამდე მინდორს ვერ დაუბრუნდება. 34 წლის ვეტერანმა უკვე დაიწყო ახალი კლუბის ძიება.

ინგლისური „ბოლტონის“ სენეგალელი ნახევარმცველი ელჰაჯი დიუფი შესაძლოა, გუნდიდან დაითხოვონ. საქმე იმაშია, რომ გასულ უქმეებზე აფრიკელმა კვლავ განზრახ იუხეშა და მოედნიდან დროზე ადრე მიაბრძანეს. მან „არსენალის“ მეკარე იენს ლემანს იდაყვი ჩაარტყა. ამ საქციელმა „ბოლტონის“ მთავარ მწვრთნელ სემ ელერდაისს მოთმინების ფიალა აუვსო. მან გააცხადა, დიდი შანსია, დიუფის „ლივერპულისგან“ გამოსყიდვა გადავიფიქროთ და მასთან ურთიერთობა შევწყვიტოთო.

ჩეხეთის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფორვარდ მილან ბაროშს სურს, რომ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში რომელიმე იტალიურ კლუბს შეხვდეს. „ნამდვილად არ ვინატრებდი „ჩელსის“. მაინცდამაინც არც „ლიონთან“ თამაშის სურვილი მაქვს. ფრანგებს ძალიან საშიში გუნდი ჰყავთ. კარგი იქნება, თუ ერთ-ერთ იტალიურ კლუბს გადავეყრებით“ — აღნიშნა ბაროშმა.

იტალიური „უდინეზეს“ ნახევარმცველ დავიდ პიზაროთი კვლავ არაერთი კლუბია დაინტერესებული, თუმცა ყველაზე მეტად ბოლო დროს „პალერმო“ აქტიურობს და დიდი შანსია, ჩილელი მომავალ სეზონში სიცილიაზე გადაბარგდეს. „ჩვენ არავის გაყიდვას არ ვგეგმავთ. პირიქით, მაღალი კლასის ფეხბურთელებს შევიძენთ და პიზარო ჩემი ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა“ — თქვა „პალერმოს“ ამბიციურმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

ესპანური „სოსიედადის“ კორეელი ლეგიონერი ლი ჩუნ-სუ ზაფხულში სავარაუდოდ თავის ყოფილ კლუბ „ულსან ტიგრესს“ დაუბრუნდება, რომელიც ბასკებს 2 მილიონ დოლარს გადაუხდის. ფაქტობრივად ყველა დეტალი შეთანხმებულია, მაგრამ „სოსიედადი“ უფლებას იტოვებს, ლის გაყიდვა სეზონის ბოლომდე გადაიფიქრობს.

გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ ტომას ჰესლერმა კარიერა დაასრულა. 38 წლის ფეხბურთელი ბოლო დროს „უნტერჰახინგთან“ ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ მუხლის ტრავმამ მას საბოლოოდ გადააწყვეტინა ფეხბურთიდან წასვლა. შეგახსენებთ, რომ 20-წლიანი კარიერის მანძილზე ჰესლერს ეროვნულ ნაკრებში 101-ჯერ უთამაშია, ხოლო ბუნდესლიგაში 400-ზე მეტი მატჩი გაუმართავს.

პორტუგალიის ნაკრებისა და „პორტუს“ მცველმა კოშტინიამ შესაძლოა „ინტერში“ ამოყოს თავი. მისი შეძენა მილანელთა თავკაც რობერტო მანჩინის სურს. „კოშტინიას ჩემს თავს ვამსგავსებ. ეგი ფიზიკურად ძლიერია და თან ტექნიკური. გარდა ამისა, ფაქტობრივად უნივერსალური ფეხბურთელია. „ინტერს“ ასეთი მოთამაშე ძალიან წაადგება“ — თქვა „მანჩომ“

ფრანგი მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტის არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენას აპირებს. ამის შესახებ მან გუშინ განაცხადა. „უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს წერილი გავუგზავნე, რომელშიც ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე ვწერ. ფეხბურთის სამყაროში ძალიან ბევრი პრობლემაა და მსურს, მათ მოგვარებაში მონაწილეობა მივიღო“ — აღნიშნა ფრანგმა. შეგახსენებთ, რომ მიშელო პლატინი მალე გვეწვევა და საქართველო — თურქეთის მატჩს დაესწრება.

უეფას თასი 2004-2005. მეოთხედფინალი

პირველი მატჩი

სტიაუა (რუმინეთი) – ვილიარეალი (ესპანეთი)

საპასუხო მატჩები

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:3 ნიუკასლი (ინგლისი)

შახტარი (უკრაინა) 1:3 ალკმაარი (ჰოლანდია)

ალკმაარიის მეკარე ლისაბონში გადახტა

სტიაუა – ვილიარეალი

ეს მატჩი ხუთშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ უამინდობის გამო გადაიდო. „სტიაუამ“ ერთი ესპანური გუნდი, „ვალენსია“ უკვე გააძევა, ახლა კვლავ პრიმერადივიზიონელთან ბრძოლა მოუწევს. „შესანიშნავ ფორმაში ვართ — აცხადებს მასპინძელთა ვეტერანი ნახევარმცველი დორინელ მუნტიანუ — და ქომაგები ჩვენგან გამარჯვებას ელიან“. ბუქარესტელთა მთავარი პრობლემა ცენტრალური მცველის, მირელ რადოის ტრავმა იყო, რომელიც ამჟამად უკეთაა და შესაძლოა, დღეს ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს.

რუმინეთის დედაქალაქში ბრწყინვალედ მოთამაშე „ვალიარეალი“ ჩავა, რომელმაც პრიმერადივიზიონში მესამე ადგილს უწია. „ვილიარეალმა“ შინ „ესპანიოლი“ 4:1 დაამარცხა და კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ჩინებულ ფორმაშია. ესპანურ გუნდს სამი ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი დაუბრუნდა — არუაბარენა, კიკე ალვარესი და ხოსიკო.

ნიუკასლი – ოლიმპიაკოსი

„კაჭკაჭებმა“ ბერძნებს პირეოსში სძლიეს და სტუმრად დაწყებული საქმის შინ დასრულება ალბათ არ უნდა გაუჭირდეთ, თუმც „ნიუკასლს“ დაცვაში პრობლემები მიეძალა. „ტოტენჰემთან“ სათასო მატჩში ტიტუს ბრამბლი დაშავდა, რომელიც ტრავმირებულთა კვარტეტს — ბაბაიარო, ობრაიენი, ელიოტი, ტეილორი — შეუერთდა. გრემ სუნესს ჰყავს ჟან ალენ ბუმსონგი, მაგრამ მას უეფას თასზე თამაშის უფლება არა აქვს.

„ბრამბლს ახლა ოპერაცია დასჭირდება და იგი ალბათ ოთხ კვირაში გამოჯანმრთელდება“ — თქვა ნიუკასლელთა მწვრთნელმა.

„ოლიმპიაკოსმა“ ჩემპიონატში აეკ-თან დედაქალაქურ დერბიში 1:1 ითამაშა. მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ 71-ე წუთზე სტუმრებმა პენალტით გაათანაბრეს. „ოლიმპიაკოსი“ ნიუკასლში ტრავმირებულ რივალდოს ვერ ჩაიყვანს. ამის გარდა გეორგატოსი და კოტულასი დისკვალიფიცირებულნი არიან, რადგან პირველ მატჩში ისინი გააძევეს. რაც შეეხება ჯოვანის, ისიც მსუბუქად დაშვებულია და ექიმი დღეს გაარკვევს, შეძლებს თუ არა თამაშს ბრაზილიელი.

ალკმაარი – შახტარი

დონეცკის „შახტარმა“ წინა ეტაპზე იყოჩაღა და საშინაო ფრის შემდეგ სტუმრად გელზენკირხენის „შალკეს“ სძლია. ამჯერად „შახტარის“ საქმე გაცილებით რთულადაა, რადგან „ალკმაართან“ დონეცკში ერთი კვირის წინ 1:3 დაადგო. კო ადრინსეს გუნდი ამ სეზონში საუცხოოდ თამაშობს და ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერებში ჩაეწერება. „ალკმაარმა“ გასულ უქმეებზე „გრაასფსხაპს“ 3:2 მოუგო, თუმც 0:1-ს აგებდა. გუნდის მეკარე ჰენკ ტიმერის თვალი უეფას თასის ფინალისკენ გაურბის: „ასე კარგად თუ გავაგრძელებთ, ჩვენი თამაში სად მიგვიყვანს? 18 მაისს ალბათ ლისაბონში ვიქნებით“. აღსანიშნავია, რომ 1981 წლის შემდეგ „ალკმაარი“ უეფას თასის მეოთხედფინალში არ გასულა.

დონეცკის „შახტარს“ რუმინელი ფორვარდი ჩიპრიან მარიკა გამოუკეთდა და მირჩა ლეჩესკუს შეტევას გაძლიერების საშუალება ეძლევა.

ვაჟა ხუციშვილი

რეიესი რეალს წარუდგინეს

ლონდონის „არსენალის“ თავდამსხმელმა ხოსე ანტონიო რეიესმა მადრიდის „რეალისკენ“ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა.

ესპანელი ფორვარდის წარმომადგენელი ხესუს როდრიგეს დე მოია ალბიონელ „მეთოფეთა“ ვიცე-პრეზიდენტ დევიდ დინს ორშაბათს შეხვდა, რათა რეიესის „დასახსნელი“ თანხის რაოდენობა გაერკვიათ.

როგორც ესპანური მედია იუწყება, „რეალის“ პრეზიდენტ პერეს რეიესის ხელში ჩაგდება სურს, ოღონდ ესპანელები თანამემამულეში გულუხვად არ დაიხარჯნენ და ლონდონურ-მადრიდული გარიგებაც სავარაუდოდ არცთუ ისე იოლი იქნება. თავად ფეხბურთელი „ბერნაბეუზე“ რეიესის მოსურნეა და მიუხედავად იმისა, რომ „არსენალში“ ურიგოდ არ თამაშობს, მაინც მადრიდში გადაბარგებაზე ფიქრობს — ვერც რეიესი და ვერც მისი ოჯახი ინგლისური ცხოვრების წესს ხეირიანად ვერ შეეჩვივნენ...

„რეალში“ თამაში ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი შეძენით დაინტერესებულმა კლუბმა ჯერ საქმეები „არსენალთან“ უნდა მოაგვაროს“ — განაცხადა ესპანელმა, რომელიც ამჟამად მშობლიურ სევილიაში იმყოფება. ყოფილი მოწაფის „ბერნაბეუზე“ გადასვლას „სევილიას“ მწვრთნელი და რეიესის ძველი დამრიგებელი ხოაკიმ კაპაროსიც წინასწარმეტყველებს. „ხოსე ანტონიო რეიესი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და „რეალში“ არ გაუჭირდება. იქაური ფანები მისი ტექნიკითა და საგოლე ალღოთი აღფრთოვანებულნი დარჩებიან. წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ იგი „რეალში“ [illegible] დაიმკვიდრებს“ — [illegible] სმა ჩაუქი ექსმოწაფე.

ლადო ხომერიკი



გერმანია

II ბუნდესლიგა. XXV ტური

მიუნხენი 2:1 აინტრახტი

დუისბურგი	25	16	3	6	39:23	51
კოლონი	24	15	5	4	49:25	50
ფიურტი	24	13	4	7	38:29	43
მიუნხენი	25	12	7	6	37:31	43
აინტრახტი	25	12	4	9	43:35	40
აუე	25	12	3	10	39:28	39
ალემანია	25	11	4	10	44:31	37
ბურგჰაუზენი	24	9	6	9	33:40	33
ტრირი	25	7	11	7	32:36	32
ზაარბრიუკენი	24	9	4	11	33:33	31
კოტბუსი	25	8	6	11	27:32	30
უნტერჰაჩინგი	24	9	2	13	33:36	29
ალენი	25	7	7	11	26:31	28
დინამო	24	8	4	12	31:40	28
ესენი	25	5	11	9	30:40	26
კარლსრუე	23	5	8	10	27:36	23
ერფურტი	24	5	8	11	24:38	23
ობერჰაუზენი	24	6	5	13	27:48	23

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIX ტური

კრეტეი 0:1 ტრუა

გენგამი 1:1 ლორიანი

ნანსი	29	16	6	7	42:27	54
ლე მანი	29	15	5	9	35:24	50
ტრუა	28	14	6	8	46:37	48
სედანი	29	13	8	8	29:26	47
ბრესტი	29	11	12	6	29:25	45
დიჟონი	29	10	12	7	32:25	42
შატორუ	29	9	15	5	35:29	42
ლავალი	29	12	6	11	33:32	42
გენიონი	29	10	11	8	24:25	41
მონპელიე	28	11	7	10	27:25	40
გრენობლი	29	10	9	10	35:35	39
გენგამი	29	10	7	12	36:36	37
რეიმსი	29	8	11	10	26:38	35
ამიენი	29	8	10	11	28:31	34
ლორიანი	29	9	7	13	34:39	34
ანჟე	29	7	11	11	28:34	32
ლე ავრი	29	8	7	14	18:27	31
კლერმონი	28	6	12	10	27:28	30
კრეტეი	28	6	9	13	24:29	27
ნიორი	29	6	7	16	23:39	25

იტალია

სერია B. XXX ტური

ტერნანა 0:0 კატანია

ჯენოა	30	15	11	4	53:32	56
ემპოლი	30	13	12	5	43:25	51
პერუჯა	30	13	9	8	35:25	48
ტრევიზო	29	14	6	9	37:30	48
ტორინო	30	14	6	10	32:25	48
ვერონა	29	13	7	9	50:36	46
ასკოლი	30	12	9	9	42:40	45
პიაჩენცა	30	13	4	13	33:34	43
ტერნანა	30	10	11	9	36:37	41
ალბინოლეფე	29	11	8	10	40:34	41
ჩეზენა	30	11	8	11	35:40	41
კატანია	30	9	13	8	31:34	40
ვიჩენცა	30	11	6	13	46:49	39
პესკარა	30	9	12	9	32:38	39
მოდენა	30	11	8	11	30:29	37
სალერნიტანა	30	9	9	12	35:40	36
ტრიესტინა	29	10	6	13	33:40	36
ბარი	30	8	12	10	27:29	35
არეცო	30	6	14	10	39:41	32
კროტონე	30	7	10	13	29:35	28
ვენეცია	30	5	10	15	24:40	25
კატანძარო	30	5	7	18	25:54	22

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა

პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

ბოავიშტა 2:0 ბელენენსეში

ბენფიკა	25	14	6	5	39:23	48
პორტუ	25	12	9	4	30:20	45
ბრაგა	25	12	8	5	36:19	44
ბოავიშტა	25	12	8	5	34:30	44
სპორტინგი	25	12	6	7	50:30	42
გიმარაეში	25	10	7	8	28:23	37
რიუ ავე	25	8	13	4	30:29	37
მარიტიმუ	25	8	12	5	27:22	36
ნასიონალი	25	10	4	11	33:32	34
ლეირია	25	7	12	6	25:23	33
ბელენენსეში	25	9	5	11	33:30	32
სეტუბალი	25	8	8	9	35:35	32
პენაფიელი	25	8	3	14	26:41	27
მორეირენსე	25	5	10	10	21:33	25
ჟილ ვისენტე	25	6	5	14	24:33	23
ეშტორილი	25	6	5	14	30:43	23
ბეირა მარი	25	5	8	12	25:46	23
აკადემიკა	25	5	7	13	20:34	22

ჰოლანდია

II დივიზიონი

XXVI ტური

კამბური 4:3 ეინდჰოვენი

ემენი 2:2 ტელსტარი

ექსელსიორი 1:0 აპელდორნი

ვოლენდამი 1:4 სპარტა

იგლსი 0:0 დორდრეხტი

ჰაარლემი 0:0 ვოლენდამი

ჰელმონდი 0:1 ჰერაკლესი

მაასტრიხტი 1:1 ზვოლე

ოსი 0:3 ვენლო

სპარტა	25	16	7	2	71:27	55
ვენლო	24	13	7	4	45:22	46
ჰერაკლესი	23	14	4	5	39:23	46
ზვოლე	25	11	8	6	40:31	41
ვოლენდამი	25	11	5	9	34:32	38
კამბური	26	11	5	10	31:33	38
ჰელმონდი	25	10	7	8	43:35	37
ტელსტარი	24	9	9	6	36:29	36
ვეენდამი	24	10	6	8	40:36	36
დოორდრეხტი	24	10	6	8	33:34	36
იგლსი	25	8	8	9	32:37	32
აპელდორნი	24	10	1	13	38:41	31
ჰაარლემი	25	8	6	11	36:42	30
ექსელსიორი	25	8	5	12	34:37	29
ოსი	25	7	6	12	32:52	27
მაასტრიხტი	25	6	7	12	25:34	25
სიტარდი	24	5	7	12	34:51	22
ეინდჰოვენი	25	4	8	13	35:54	20
ემენი	25	4	6	15	27:55	18

რეკლამა

სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექემს უყვარდა ბავშვები

ინგლისის კაპიტანი მწვრთნელი არასდროს გახდება

დევიდ ბექემი და მისი „რეალი“ რომ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშნენ ერთი კვირის წინანდელი ამბავია, მაგრამ ინგლისის ნაკრების კაპიტანი ამ შეჯიბრებაში გამარჯვებას მადრიდელთა მძლეველ „იუვენტუსს“ კი არა, მილანს“ არ „ჩელსის“ რომ უწინასწარმეტყველებს, ამას პირველად მოგახსენებთ

„განსაკუთრებით „მილანის“ თამაშმა მომჭრა თვალი, — ამბობს ბექემი, — მილანელები მეტოქეებს ძალიან ბევრ პრობლემას უქმნიან. ისინი მოედნის ყოველ მონაკვეთზე ძლიერად თამაშობენ, ხოლო დაცვაში უბრალოდ შეუდარებელნი გახლავან. აქ პაოლო მალდინი და კაფუ არიან შეუდარებლები“.

ფეხბურთელმა ეს სიტყვები ჟურნალისტებს ლონდონში, დევიდ ბექემი საფეხბურთო აკადემიის გახსნასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე უთხრა.

„ვფიქრობ, ფავორიტია „ჩელსიც“, რომელსაც აქვს რომან აბრამოვიჩის ფული, ჰყავს საკუთარი შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდა მწვრთნელი, რომელიც გუნდს დიდ მოთხოვნებს უყენებს და ჰყავს კარგი ფეხბურთელები, როგორც უცხოელები, რომლებიც მშვენივრად შეერწყნენ ლონდონურ გუნდს, ასევე ინგლისელები“.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კენჭისყრა გაიმართება პარასკევს შვეიცარიაში, ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ ბინაში.

ბუნებრივია, სიტყვა „რეალის“ გათამაშებიდან გამოთიშვასაც შეეხო და აქ მადრიდელთა ინგლისელ ნახევარმცველს აშკარად დაეტყო გაწბილება. მოგეხსენებათ, ვარსკვლავი უკვე ორი წელიწადია, რაც მადრიდში თამაშობს და ამ ხნის მანძილზე გუნდი ევროშეჯიბრებას ჯიუტად ეთიშება. გეხსომებათ ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ „რეალმა“ ესპანეთის პირველობაზე „ხეტაფესთანაც“ კი წააგო.

„ეს ყველაფერი ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან ჩემი მიზანი „რეალთან“ ერთად ტიტულების მოპოვებაა, მაგრამ აშკარაა, რომ სანამ „ბარსელონა“ ფორმიდან არ ამოვარდება და თავად არ დაიწყებს წაგებას, ჩვენ მას ვერ წამოვეწევით, ხოლო ჩემპიონთა ლიგიდან როგორც იცით, გამოვვარდით.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ „რეალის“ დონის გუნდს გამარჯვებები სჭირდება, რასაც სამწუხაროდ მიმდინარე სეზონში ახდენა როგორც ჩანს, არ უწერია. ამის მიზეზი ერთი არ არის, ბევრია და იძულებული ვართ მომხდარს შევეგუოთ, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ამბავი მე ძალიან არ მომწონს“, — განაცხადა ბექემმა.

ასეთმა განცხადებამ დატოვა შთაბეჭდილება, თითქოს ინგლისელი საერთოდ „რეალში“ ყოფნით არის უკმაყოფილო, თუმცა მან ეს უარყო და დასძინა, რომ უახლოეს მომავალში ინგლისში დაბრუნებას არ გეგმავს, რასაც დააყოლა, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ არც მწვრთნელობას აპირებს:

„ნამდვილად ვიცი, რომ მწვრთნელობა არ მსურს. საამისო არც ამბიცია მაქვს და არც ოდესმე გამჩენია სურვილი. სხვა ფეხბურთელები კი რატომაც არა, იოლად შეიძლება გახდნენ მწვრთნელები, მაგალითად. მე თუ მკითხავთ, ამის დიდი უანარი ფილ და გარი ნევილებს უნდა აღმოაჩნდეთ, ასევე ექნება როი კინსაც, რომელიც პირადი მაგალითით მიაღწევს ბევრს, მე კი ბავშვების აღზრდაც სრულიად დამაკმაყოფილებს. ამიტომაც ვხსნი აკადემიას.

რაც შეეხება ჩემს კარიერას, ვფიქრობ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე მოედანზე, მაგრამ როდესაც წასვლის დრო დამიდგება, ბავშვების წვრთნაზე გადავალ.

საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ აკადემიის პროექტში დიდძალ საკუთარ ფულს ვდებ და ვიმედოვნებ, რომ მომავალი მაიკლ ოუენი და ოუენ რუნი სწორედ ჩემს აკადემიაში აღიზრდებიან, თუმცა იმასაც დავძენ, რომ მხოლოდ ვარსკვლავების აღზრდა სულაც არ არის ჩემი მიზანი“.

დევიდ ბექემის აკადემია ტემზის პირას, გრინვიჩში გაიხსნება და ყოველწლიურად 15 ათას 8-15 წლის ბავშვს მოემსახურება. ასეთსავე აკადემიას მოგვიანებით, ლოს ანჯელესშიც ვიხილავთ.

პაპუნა კედია

ლანძღვა ცუდია, ტყუილი უპრესი

იოჰან კრუიფი ესპანური პრესის წინააღმდეგ

ლეგენდარული ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი კატალონიური „ბარსელონას“ დამრიგებელ ფრანკ რაიკარდისა და „კამპ ნოუს“ კაპიტან კარლეს პუიოლის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას უარყოფს და აცხადებს, რომ გარკვეული ძალები კრუიფისა და მისი ყოფილი გუნდის გადამტერებას ცდილობენ.

„არც პუიოლი გამილანძღავს, არც რაიკარდი და არც ხერარდი. „ჩელსისთან“ ამასწინანდელ თამაშზე ბევრი არაფერი მითქვამს, რაიკარდის კომპეტენციაში არ ვერევი და, ბუნებრივია, თამაშის დროს მიღებული მისი გადაწყვეტილებები ჩემი განსასჯელი არ არის. მაქსი ლოპესზე და საერთოდ ლონდონელებთან „ბარსას“ ცვლილებებზე არც ტელევიზიის და არც პრესის საშუალებით განსაკუთრებული არაფერი აღმინიშნავს, უბრალოდ, პუიოლი ერთ-ერთ იმ გოლზე საუბრისას ვახსენე “— თქვა გულნატკენმა მეესტრომ ბასკური გაზეთის „ლა ვანგუარდიას“ ყოველკვირეულ სვეტში.

საქმე ის გახლავთ, რომ ორიოდე დღის წინ ესპანურ მედიაში კრუიფის შესახებ მორიგი „ანტიბარსელონური“ ინფორმაცია გამონდა. პირინეელ ჟურნალისტთა თქმით, კატალონიელთა და ჟოზე მაურინიუს „ჩელსის“ მატჩის შემდეგ ჰოლანდიელი ერთ-ერთი ჰოლანდიური ტელეარხით გამოსულა და „ბარსას“ წამყვანი ფიგურები, რაიკარდი და პუიოლი მიწასთან გაუსწორებია.

„პუიოლი ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორიც უწინ იყო, ხოლო ფრანკ რაიკარდი შეცდომას შეცდომაზე უშვებს, მაშინ, როდესაც „ჩელსი“ დაწინაურდა, მაქსი ლოპესის მინდორზე ასე დაგვიანებით გამოყვანა მეტად დიდი დაუდევრობა გახლდათ“ — ეწერა „მარკას“ გუშინწინდელ ნომერში, ხოლო ამ სიტყვების ავტორად იოჰან კრუიფს მოიაზრებდნენ. „კამპ ნოუს“ ოდინდელი მწვრთნელი ამის გამო ფრიად აღშფოთებული ჩანს: „ადრე რონალდინიოსთან, ვიქტორ ვალდესთან და სანდრო როსელისთან გამიფუჭეს ურთიერთობა, ახლა კი უნდათ, რაიკარდსაც და პუიოლსაც წავეჩხუბო. ჟურნალისტებს ვთხოვ, თავიანთ საქმეს მეტი ყურადღებით მოეკიდონ და არარსებულ გამონათქვამებს ნუ მომაწერენ... „ჩელსისთან“ რაიკარდის მარცხზე კი გული მართლაც ძალიან დამწყდა. ის თამაში მარტო „ბარსელონამ“ კი არა, მსოფლიოს პროგრესულმა ფეხბურთმა წააგო“... „ლა ვანგუარდიას“ მესვეტე ლეგენდამ თავისი წერილის დასასრულ სკანდალისტ მედიას კრუიფის ღირსებათა არცოდნა უსაყვედურა — მე დამარცხებულებს არასოდეს ვაკრიტიკებ, წაგებულისთვის წიხლის დაჭერა სხვას მოჰკითხეთ, იოჰან კრუიფთან კი ამ შემთხვევაში არაფერი გესაქმებათო.

ლადო ხომერიკი

აბა, თქვი ბოდიში
სასიკვდილო მუქარას პოლიციამ უნდა მიხედოს

გუშინწინ უეფას მსაჯთა თავკაცმა ფოლკერ როტმა ჟოზე მაურინიუს „ფეხბურთის მტერი" უწოდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ მაურინიუმ მისი „ჩელსისა" და „ბარსას" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი შეხვედრის მსაჯი 42 წლის ანდრეს ფრისკი გააკრიტიკა, რასაც ფანობის სასიკვდილო მუქარით სავსე წერილები მოჰყვა

ამის შემდეგ ფრისკმა გამოაცხადა, მსაჯობას თავს ვანებებო.

შედეგად, უეფამ მსაჯთა დაცვა დაიწყო, რაც როტმა მაურინიუსნაირი მწვრთნელების ლანძღვით გაამაგრა.

ჰოდა ახლა მაურინიუც აღშფოთდა: „როტს მხოლოდ ორი გზა აქვს, ან ბოდიში მომიხადოს, ანდა, პირდაპირ სასამართლოში მოვიდეს.

რაც შეეხება ფრისკს, მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ არ მგონია, რომ იგი ჩემი განცხადების გამო გადადგა. ყველგან და ყოველდღიურად მწვრთნელები მსაჯებს აკრიტიკებენ, ეს ნორმალურია. არც ის მგონია, რომ ფრისკისთანა გამოცდილების კაცი ჩემი სიტყვების გამო წასულიყო. მუქარის წერილებს კი პოლიციამ უნდა მიხედოს".

უეფას პასუხისმგებელმა შეფმა, ლარს კრისტერ ოლსონმა განაცხადა, რომ ვერაფრით გადაათქმევინა ფრისკს წასვლა:

„ჩვენ არ გვინდა, რომ მსაჯი გუნდების წინასამატჩო ინტრიგების მსხვერპლი შეიქნეს. მწვრთნელები და ფეხბურთელები საკულტო ხალხია საზოგადოებისთვის, ამიტომ მეტი პასუხისმგებლობა მართებთ".

„ჩელსის" ოფიციალურ განცხადებაში კი ნათქვამია: „ვგმობთ ყოველგვარ მუქარას, რომელიც მისტერ ფრისკს გადადგომას აიძულებს. მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ ამაში „ჩელსის" ფანები მონაწილეობდნენ. გამოძიებას ყველანაირად შევუწყობთ ხელს".

ირაკლი გამყრელიძე

კაპელო, ანჩელოტი, ბენიტესი
ოცდაცამეტი სამოცდაექვსის წინააღმდეგ

ესპანურ პრესაში აქტიურად ალაპარაკდნენ, „რეალი" მომავალ ზაფხულს ყველანაირად შეეცდება, მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფაბიო კაპელო მიიწვიოსო. მოგეხსენებათ, მადრიდელები ჩემპიონთა ლიგიდან სწორედ მისმა „იუვენტუსმა" გამოაგდო. გარდა ამისა, „სამეფო კლუბმა" ფაქტობრივად დაკარგა პრიმერადივიზიონის მოგების შანსი და გამოეთიშა ქვეყნის თასსაც, ხოლო გუნდის ბრაზილიელი თავკაცის ვანდერლეი ლუშემბურგოს წასვლა უკვე თითქმის გადაწყვეტილია. ცნობილი გაზეთი MARCA იუწყება, რომ კაპელო მადრიდელთა სიაში პირველი ნომერია. მის გარდა კანდიდატებს შორის „მილანისა" და „ლივერპულის" თავკაცები, კარლო ანჩელოტი და რაფაელ ბენიტესი სახელდებიან.

შეგახსენებთ, რომ კაპელოს „რეალში" აქამდეც უმუშავია. 1996-97 წლების სეზონში მან მადრიდელებს პრიმერადივიზიონი მოაგებინა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ოტმარ ჰიცფელდისეულ დორტმუნდის „ბორუსიასთან" დამარცხდა.

პარალელურად მეორე ესპანური გაზეთი AS გამოკითხვას ატარებს, რათა ამ საკითხთან დაკავშირებით გულშემატკივრების აზრი გაიგოს. როგორც ირკვევა, ქომაგთა უმეტესობას კაპელოს მადრიდში დაბრუნების პერსპექტივა მაინცდამაინც არ ხიბლავს. მისი დაბრუნების, მომხრე მხოლოდ 33 პროცენტია, ხოლო წინააღმდეგი ორჯერ მეტი.

„რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი კი, მიუხედავად მისი გუნდის წარუმატებლობებისა, კვლავ ოპტიმისტურად არის განწყობილი. კულუარებში მის შესაძლო გადადგომაზეც საუბრობენ, მაგრამ პერესმა ეს კატეგორიულად უარყო, ხოლო კაპელოსთან დაკავშირებული ინფორმაცია, არც უარყო და არც დაადასტურა.

ფლორენტინო პერესი: „წასვლაზე არასოდეს მიფიქრია და არც ვაპირებ. ვიცი, რომ კლუბის დირექტორები და გულშემატკივრები ბოლომდე მენდობიან. მათ იმედს ნამდვილად არ გავუცრუებ და ისევ ძველებურად ვეცდები, „რეალისთვის" სასიკეთო საქმე ვაკეთო. შემიძლია, გარანტია მოგცეთ, რომ პოსტზე ჩემი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის ბოლო დღემდე ვიქნები. ფაქტია, რომ ჩვენ ჩინებული გუნდის შექმნა შევძელით. ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, მთელი ისტორიის მანძილზე „რეალი" ასეთი ძლიერი არ ყოფილაო."

„სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა კომენტარი ჯონათან ვუდგეიტზეც გააკეთა. როგორც ჩანს, ინგლისელის მადრიდული დებიუტი მომავალი სეზონისთვის გადაიდო. „რეალის" ექიმების თქმით, 25 წლის მცველი წლეულს მინდორზე ვერ გავა.

„დიდი იმედი გვაქვს, რომ ჯონათანი თამაშს შემდეგი სეზონის დაწყებიდანვე შეძლებს და მისი სარეაბილიტაციო პერიოდი უფრო მეტად არ გაიწელება. მჯერა, იგი „რეალს" ძალიან წაადგება და ერთ-ერთ საუკეთესო მცველად იქცევა ისტორიაში. ახლა მთავარია, ვუდგეიტის მომჯობინებას დავუცადოთ, ექიმები ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებენ" — დასძინა პერესმა.

გიორგი ძაძამიძე

აყროლებული ტარაკანი

„**მალაგას**" უფროსობამ კლუბის კოსტარიკელი თავდამსხმელი პაულო სესარ ვანჩოპე ადგილობრივ ინჩასებთან შეტაკების გამო დააჯარიმა. ინციდენტი პრიმერადივიზიონის 28-ე ტურის მატჩში მოხდა, როცა ერთმანეთს ანტონიო ტაპიას „მალაგა" და სევილიური „ბეტისი" ერკინებოდნენ. ვანჩოპეს გუნდის პრეზიდენტმა ანტონიო მენდესამ გუშინ პრესასთან შეხვედრაში აგრესიულ ლათინოამერიკელს საქციელი დაუწუნა და აღნიშნა, რომ „ლა როსალედაზე" ატეხილი ჩხუბის გამო შესაბამის ზომებს მიიღებენ. „ვანჩოპეს ვერაფრით გავამართლებთ. ეს საქციელი „მალაგას" ნდობას, გულშემატკივართა და პრესის პატივისცემას არ შეფერება. ამ ფეხბურთელისგან გაცილებით მეტს ველით" — განაცხადა „ლა როსალედას" თავკაცმა.

ანტონიო ტაპიას ოკეანისგაღმელმა შეგირდმა ორი ქომაგი მაშინ სცემა, როცა მათ „ბეტისთან" 1:2 წაგების მერე „მალაგას" 11 ნომერი რასისტულ შეძახილებით შეურაცხყვეს. „ეს დიდი შეცდომა იყო, ფეხბურთელი აუცილებლად დაისჯება, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ვაი-გულშემატკივრებმა მოთამაშეები კანის ფერის მიხედვით განსაჯონ. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს" — ამბობს ანტონიო მენდოსა. თავად ვანჩოპე კი ძლიერ განრისხებულია, თუმცა მაშინდელ აფეთქებას ისიც ნანობს: „აყროლებული ტარაკანი დამიძახა და სხვა რაღა უნდა მექნა? თუმც ახლა ვხვდები, რომ დაგავაჭარბე — სულელურ პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდი..."

ლადო ხომერიკი

კოული მივიდა



ორშაბათს ეშლი კოული დაესწრო პრემიერლიგის კომიტეტის სხდომას რომელიც მისი და ჟოზე მაურინიუს საიდუმლო შეხვედრის საქმეს განიხილავს.

ლაპარაკია იმაზე, რომ „არსენალის" ფეხბურთელი თავისი კლუბის გვერდის ავლით შეხვდა „ჩელსის" ბოსებს.

პარასკევს ჩვენებმა მისცა „ჩელსის" პასუხისმგებელმა შეფმა პიტერ კენიონმა. „ჩელსის" პოზიცია იმგვარია, რომ საიდუმლო შეხვედრა კოულისა და მისი აგენტის, ჯენოთან ბარნეტის ინიციატივით გაიმართა. თუმცა, ბარნეტი, რომელსაც საააგენტო ლიცენზიის ჩამორთმევა ემუქრება, ამას უარყოფს.

„არსენალის" თავკაცს, არსენ ვენგერს სჯერა, რომ შეხვედრა ნამდვილად შედგა და ეს ძალიან ულირსი ამბავია.

ამბობენ, რომ კოულმა მას შემდეგ დაიწყო „ჩელსისთან" კავშირის ძებნა, რაც „არსენალში" უთხრეს, კვირაში მხოლოდ 5 ათასი გირვანქის მომატება შეგვიძლიაო. ფეხბურთელს კი სურდა თავისი ყოველკვირეული 55 ათასი, ათასამდე გაზრდილიყო.

კოულს არაფერი უთქვამს კომიტეტისთვის. ბარნეტის სიტყვებით, მან პატივი სცა კომიტეტს და მოსმენაზე მივიდა.

საქმე გრძელდება.

ირაკლი გამყრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარზიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
23:00	3	ჩარლტონი-ტოტენჰემი	2.35	3.3	2.75	1.37	1.26	1.5
23:00	466	ლივერპული-ბლექბერნი	1.55	3.5	5.8	1.07	1.22	2.18

ინგლისი. ჩემპიონატი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
22:45	27	დერბი-ქპრ	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
22:45	28	ნოტინგემი-ლიდსი	2.4	3.2	2.65	1.37	1.25	1.44

ინგლისი. II ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
22:45	467	ბოსტონი-ნოტსი	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62

შოტლანდია. პრემიერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
22:45	468	ინვერნესი-სელტიკი	10.0	4.5	1.25	3.1	1.11	1.0

გერმანია
I ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		19 მარტი						
17:30	106	ლევერკუზენი-ლაუტერნი	1.65	3.5	4.8	1.12	1.22	2.02
17:30	107	ნიურნბერგი-ვერდერი	3.15	. 3.2	2.15	1.58	1.27	1.28
17:30	109	ბაიერნი-ჰანზა	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21
17:30	110	ბაიერნი-ჰანზა 0:1	1.6	4.5	3.3			
17:30	111	ბოხუმი-ვოლფსბურგი	2.4	3.3	2.7	1.38	1.27	1.48
17:30	112	ჰამბურგი-დორტმუნდი	1.9	3.3	3.8	1.2	1.26	1.76
17:30	113	ჰანოვერი-გლადბახი	2.05	3.3	3.3	1.26	1.26	1.64
17:30	114	ჰერტა-არმინია	1.55	3.5	6.0	1.07	1.23	2.21
		20 მარტი						
19:30	115	შტუტგარტი-ფრაიბურგი	1.3	4.8	9.0	1.02	1.13	3.13
19:30	116	მაინცი-შალკე	3.8	3.4	1.85	1.79	1.24	1.19

გერმანია. II ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
20:45	119	დინამო-კიოლნი	3.1	3.0	2.2	1.52	1.28	1.26
20:45	120	ზაარბრიუკენი-კარლსრუე	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
21:30	130	ვოლფსბურგი(მ)-ბრაუნშვაიგი	3.0	3.4	2.0	1.59	1.2	1.25

ავსტრია. ბუნდესლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		19 მარტი						
20:30	149	ბრეგენცი-ზალცბურგი	2.1	3.3	3.1	1.28	1.25	1.59
20:30	150	რაპიდი-გრაცერი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
20:30	151	შტურმი-მატერსბურგი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
20:30	152	ტიროლი-პაშინგი	2.6	3.3	2.4	1.45	1.24	1.38

შვეიცარია. სუპერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
21:30	159	ბაზელი-შაფჰაუზენი	1.25	4.5	9.5	1.0	1.1	3.05
21:30	160	გრასჰოპერი-თუნი	2.05	3.1	3.3	1.23	1.26	1.59
21:30	161	სტ.გალენი-აარაუ	1.95	3.2	3.3	1.21	1.22	1.62
21:30	162	იანგ ბოიზი-ქსამაქსი	2.1	3.2	3.0	1.26	1.23	1.54

შვეიცარია. ჩელენჯლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
21:30	167	შო დე ფონი-ლუცერნი	2.65	3.2	2.25	1.44	1.21	1.32

იტალია. სერია A

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		19 მარტი						
20:00	177	სიენა-ლაციო	2.4	3.0	2.95	1.33	1.32	1.48
22:30	178	იუვენტუსი-რეჯინა	1.25	5.0	10.0	1.0	1.11	3.33
22:30	179	იუვენტუსი-რეჯინა 0:1	1.6	4.0	3.4			
		20 მარტი						
17:00	180	ლივორნო-კალიარი	2.05	3.0	3.7	1.21	1.31	1.65
17:00	181	მესინა-ბოლონია	2.2	2.8	3.6	1.23	1.36	1.57
17:00	182	პარმა-პალერმო	2.5	2.9	2.9	1.34	1.34	1.45
17:00	183	სამპდორია-ატალანტა	1.45	3.8	7.0	1.04	1.2	2.46
17:00	184	კიევო-ბრეშა	1.9	3.1	4.0	1.17	1.28	1.74
17:00	185	ინტერი-ფიორენტინა	1.4	3.8	7.5	1.02	1.17	2.52
17:00	186	ინტერი-ფიორენტინა0:1	1.9	3.6	2.6			
17:00	187	უდინეზე-ლეჩე	1.65	3.3	5.5	1.1	1.26	2.06
22:30	188	რომა-მილანი	3.4	3.1	2.1	1.62	1.29	1.25

იტალია. სერია B

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 მარტი						
21:00	190	ალბინოლეფე-ტრევიზო	2.5	2.7	2.85	1.29	1.33	1.38
22:45	191	ვერონა-ტრიესტინა	1.75	2.8	5.2	1.07	1.3	1.82

ესპანეთი. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
23:00	475	ბილბაო-ხეტაფე	1.55	3.5	6.0	1.07	1.23	2.21

საფრანგეთი. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
21:00	234	სტ.ეტიენი-აიაჩო	1.7	3.1	5.0	1.09	1.26	1.91
21:00	235	სტრასბური-მონაკო	2.9	2.8	2.5	1.42	1.34	1.32
22:00	236	სოშო-მეცი	1.85	3.0	4.2	1.14	1.28	1.75

საფრანგეთი. II დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 მარტი						
22:00	250	ანჟე-კრეტეი	1.9	2.8	4.0	1.13	1.28	1.64
22:00	251	შატორუ-ლე ავრი	1.8	2.9	4.5	1.11	1.28	1.76
22:00	252	დიჟონი-ლე მანი	2.35	2.8	3.0	1.27	1.31	1.44
22:00	253	გენგამი-ნიორი	1.7	3.0	5.0	1.08	1.26	1.87
22:00	254	ლავალი-ბრესტი	2.15	2.7	3.4	1.19	1.31	1.5
22:00	255	ლორიანი-კლერმონი	2.0	2.7	3.8	1.14	1.31	1.57
22:00	256	მონპელიე-გენიონი	1.95	2.8	4.0	1.14	1.31	1.64
23:00	257	სედანი-გრენობლი	1.75	3.0	4.5	1.1	1.25	1.79
		20 მარტი						
19:15	258	ნანსი-ამიენი	1.55	3.2	6.0	1.04	1.23	2.08
		21 მარტი						
22:15	259	ტრუა-რეიმსი	1.7	3.0	4.8	1.08	1.25	1.84

ბელგია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
22:30	477	სტანდარდი-ლუვიე	1.45	3.8	6.0	1.04	1.16	2.32

ჰოლანდია. I დივიზიონი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
22:00	473	დენ ჰააგი-ჰერენვენი	2.45	3.3	2.5	1.4	1.23	1.42
		17 მარტი						
21:30	474	გრონინგენი-პსვ	6.5	3.6	1.45	2.31	1.18	1.03

დანია. სუპერლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		19 მარტი						
17:00	388	ოლბორგი-სილკებორგი	1.7	3.4	4.3	1.13	1.21	1.89
19:00	389	ჰერფიოლგე-ვიბორგი	3.2	3.3	2.0	1.62	1.23	1.24
		20 მარტი						
17:00	390	კოპენჰაგენი-რანდერსი	1.3	4.0	9.0	1.0	1.13	2.76
17:00	391	მიდტიულანდი-ოდენსე	2.15	3.1	3.0	1.26	1.25	1.52
17:00	392	ორჰუსი-ნორდსიელანდი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83
19:30	393	ესბიერგი-ბრიონდბიუ	3.0	3.1	2.15	1.52	1.25	1.26

უეფას თასი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 მარტი						
22:30	431	ალკმაარი-შახტარი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
22:45	432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.7	3.3	4.7	1.12	1.24	1.93

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	433	სტიაუა-ვილიარეალი	2.6	3.1	2.5	1.41	1.27	1.38
		17 მარტი						
19:00	430	ცსკა-პარტიზანი	1.55	3.5	5.7	1.07	1.21	2.16
22:45	434	ოსერი-ლილი	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
22:45	435	პარმა-სევილია	2.3	3.1	2.95	1.32	1.29	1.51
22:45	436	სარაგოსა-აუსტრია	1.55	3.5	5.6	1.07	1.21	2.15
22:45	437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.85	3.3	3.8	1.18	1.24	1.76
		იტალია. თასი						
		16 მარტი						
19:30	443	ფიორენტინა-რომა	2.45	3.1	2.6	1.36	1.26	1.41
23:00	444	უდინეზე-მილანი	2.6	3.0	2.45	1.39	1.26	1.34
		17 მარტი						
20:00	445	სამპდორია-კალიარი	1.6	3.3	5.3	1.07	1.22	2.03
		საფრანგეთი. თასი						
		16 მარტი						
21:00	478	ბულონი-ნანტი	8.0	4.0	1.35	2.66	1.15	1.0
		ბელგია. თასი						
		16 მარტი						
22:30	446	გენტი-ლოკერენი	1.7	3.4	4.3	1.13	1.21	1.89
22:30	472	ლიერსი-შარლერუა	2.2	3.2	2.8	1.3	1.23	1.49
		საბერძნეთი. თასი						
		16 მარტი						
20:00	448	აეკ-პანიონიოსი	1.4	3.8	6.5	1.02	1.15	2.39
		17 მარტი						
20:00	447	კალამარია-არისი	2.45	3.1	2.6	1.36	1.26	1.41

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი. თასი						
		16 მარტი						
14:00	450	ხიმკი-ალანია	2.05	3.1	3.2	1.23	1.29	1.59
15:00	451	კრილია-დინამო	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72
15:00	452	სატურნი-როსტოვი	1.5	3.8	5.3	1.07	1.19	3.4
15:00	453	ყუბანი-ზენიტი	3.8	3.2	1.85	1.73	1.24	1.17
		როიალ ლიგა						
		17 მარტი						
22:35	454	მალმიო-კოპენჰაგენი	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
22:35	455	ბრანი-ვოლერენგა	2.45	3.2	2.55	1.38	1.24	1.41
		ლიბერტადორესის თასი						
		16 მარტი						
23:45	456	ნასიონალი-ოლმედო	1.4	3.8	6.5	1.02	1.15	2.39
23:45	457	პალმეირასი-სტ ანდრე	1.4	3.8	6.5	1.02	1.15	2.39
23:45	458	კილმესი-სან პაულუ	2.15	3.3	2.8	1.3	1.21	1.51
23:45	459	პაჩუკა-ბოკა ხუნიორსი	2.35	3.2	2.55	1.35	1.22	1.41
		17 მარტი						
23:45	460	უნივერსიტარია-სანტოსი	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
23:45	461	ხუნიორი-რივერ პლეიტი	2.3	3.2	2.6	1.33	1.22	1.43
23:45	462	ინდეპენდიენტე-ლიბერტადი	1.5	3.6	5.5	1.05	1.17	2.17
		ჰოკეი						
		შვედეთი						
		16 მარტი						
21:00	505	ტიმრე-იურგორდენი	1.85	4.0	2.7	1.26	1.09	1.61

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	3.0	2.0	3.3	1.2	1.57	1.24
10430	ცსკა-პარტიზანი	1.8	2.2	5.6	1.0	1.36	1.57
10431	ალკმაარი-შახტარი	2.5	2.0	4.0	1.11	1.53	1.33
10432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	2.2	2.0	4.5	1.04	1.47	1.38
10433	სტიაუა-ვილიარეალი	3.1	1.9	3.0	1.17	1.52	1.16
10434	ოსერი-ლილი	2.4	2.0	4.1	1.09	1.51	1.34
10435	პარმა-სევილია	2.7	2.0	3.5	1.14	1.52	1.27
10436	სარაგოსა-აუსტრია	1.85	2.2	5.5	1.0	1.38	1.57
10437	სპორტინგი-მიდლსბრო	2.3	2.0	4.5	1.06	1.52	1.38
10466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.8	2.4	6.3	1.02	1.39	1.73
10475	ბილბაო-ხეტაფე	1.8	2.2	5.5	1.0	1.35	1.57

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1.6	2.0
12430	ცსკა-პარტიზანი	1.7	1.9
12431	ალკმაარი-შახტარი	1.9	1.7
12432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.9	1.7
12433	სტიაუა-ვილიარეალი	1.6	2.1
12434	ოსერი-ლილი	1.55	2.1
12435	პარმა-სევილია	1.7	1.9
12436	სარაგოსა-აუსტრია	1.7	1.9
12437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.9	1.7
12466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.7	1.9
12475	ბილბაო-ხეტაფე	1.7	1.9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	3.5	10.0	20.0	4.4	4.4	5.3	20.0	10.0	4.4
11430	ცსკა-პარტიზანი	2.2	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11431	ალკმაარი-შახტარი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11433	სტიაუა-ვილიარეალი	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.7
11434	ოსერი-ლილი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11435	პარმა-სევილია	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.6	20.0	10.0	4.8
11436	სარაგოსა-აუსტრია	2.2	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11437	სპორტინგი-მიდლსბრო	2.6	10.0	20.0	3.6	4.4	7.5	20.0	10.0	6.5
11466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.95	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11475	ბილბაო-ხეტაფე	2.1	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0

ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

16003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1.55	2.2
16430	ცსკა-პარტიზანი	1.15	3.4
16431	ალკმაარი-შახტარი	1.4	2.3
16432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.35	2.6
16433	სტიაუა-ვილიარეალი	1.8	1.7
16434	ოსერი-ლილი	1.4	2.3
16435	პარმა-სევილია	1.65	1.8
16436	სარაგოსა-აუსტრია	1.15	3.6
16437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.35	2.6
16466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.2	3.8
16475	ბილბაო-ხეტაფე	1.2	3.5

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1.85	1.95
17430	ცსკა-პარტიზანი	1.85	1.95
17431	ალკმაარი-შახტარი	1.85	1.95
17432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.85	1.95
17433	სტიაუა-ვილიარეალი	1.85	1.95
17434	ოსერი-ლილი	1.85	1.95
17435	პარმა-სევილია	1.85	1.95
17436	სარაგოსა-აუსტრია	1.85	1.95
17437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.85	1.95
17466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.85	1.95
17475	ბილბაო-ხეტაფე	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	3.0	2.8	2.0
15430	ცსკა-პარტიზანი	3.0	2.8	2.0
15431	ალკმაარი-შახტარი	3.0	2.8	2.0
15432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	3.0	2.8	2.0
15433	სტიაუა-ვილიარეალი	3.0	2.8	2.0
15434	ოსერი-ლილი	3.0	2.8	2.0
15435	პარმა-სევილია	3.0	2.8	2.0
15436	სარაგოსა-აუსტრია	3.0	2.8	2.0
15437	სპორტინგი-მიდლსბრო	3.0	2.8	2.0
15466	ლივერპული-ბლეკბერნი	3.0	2.8	2.0
15475	ბილბაო-ხეტაფე	3.0	2.8	2.0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1.7	1.9
13430	ცსკა-პარტიზანი	1.9	1.7
13431	ალკმაარი-შახტარი	1.6	2.0
13432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.7	1.9
13433	სტიაუა-ვილიარეალი	1.7	1.9
13434	ოსერი-ლილი	1.9	1.7
13435	პარმა-სევილია	1.7	1.9
13436	სარაგოსა-აუსტრია	1.7	1.9
13437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.7	1.9
13466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.7	1.9
13475	ბილბაო-ხეტაფე	1.7	1.9

რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

18431	ალკმაარი-შახტარი	1.03	8.0
18432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.03	8.0
18433	სტიაუა-ვილიარეალი	3.4	1.25
18430	ცსკა-პარტიზანი	1.15	4.0
18434	ოსერი-ლილი	1.15	5.0
18435	პარმა-სევილია	2.0	1.6
18436	სარაგოსა-აუსტრია	1.15	4.0
18437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.1	4.5

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანი დაგებულად ჩაითვლება)

14003	ჩარლტონი-ტოტენჰემი	1.85	1.95
14430	ცსკა-პარტიზანი	1.3	2.4
14431	ალკმაარი-შახტარი	1.75	2.1
14432	ნიუკასლი-ოლიმპიაკოსი	1.45	2.4
14433	სტიაუა-ვილიარეალი	1.9	1.9
14434	ოსერი-ლილი	1.75	2.1
14435	პარმა-სევილია	1.8	2.0
14436	სარაგოსა-აუსტრია	1.3	2.4
14437	სპორტინგი-მიდლსბრო	1.65	2.3
14466	ლივერპული-ბლეკბერნი	1.3	2.5
14475	ბილბაო-ხეტაფე	1.3	2.5

ბარონ ბაირონ დევისი: „გოლდენ სტეიტი“ სერიოზულ წარმატებას მიაღწევს

სამი კვირის წინ ერთ დროს „დენვერის“ იმედი ნიკოლოზ ცქიტიშვილი „გოლდენ სტეიტში“ გადავიდა და შეიძლება ითქვას, სათადარიგო სკამიდან არ წამომდგარა. ქართველ ფორვარდთან ერთად ოკლენდურ გუნდში ბაირონ დევისიც მივიდა, რომელიც ცნობილი ვარსკვლავია და გასაკვირიაც არ არის, მედია მისით რომ დაინტერესდა. დევისი ამ სეზონში მარტო ათრევდა „ნიუ ორლეანს“ და გოლდენსტეიტელებსაც მისი დიდად ეიმედობოდათ, თუმცა, როგორც დევისის მინი-ინტერვიუდან ჩანს, სასურველ ფორმაში ვერაა და ფრთების გაშლას სამომავალსეზონოდ აპირებს. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ცქიტიშვილის ახალი გუნდის შიდასამზარეულო და ეს ინტერვიუც ამიტომ გადმოვაქართულეთ...



„გოლდენ სტეიტის“ ახალწვეულნი: ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ბაირონ დევისი

— რას იტყვით „ნიუ ორლეანში“ იმედგაცრუებული ნახევარსეზონის შემდეგ „გოლდენ სტეიტში“ გადმოსვლაზე?

— ეს მართლაც შესანიშნავია. ესაა მორიგი შანსი, ჩემი კარიერის ახალი, უფრო წარმატებული ფურცელი გადავშალო, დავანახო ყველას, რომ არ ვარ ცუდი ბიჭი, უარყოფითი, კონფლიქტური პიროვნება და რომ ჩემი გაწვრთნა შეიძლება. მე მართლაც კარგი გამთამაშებელი ვარ და კიდევ შემიძლია განვითარება. მალე დავამტკიცებ, თუ რა შემიძლია და აქ ამის კარგი შესაძლებლობა მაქვს.

— რას იტყვით „გოლდენ სტეიტის“ მწვრთნელ მაიკ მონტგომერზე, მოერგებთ მის სათამაშო სისტემას?

— თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და ამით ყველაფერია ნათქვამი. მონტგომერი ხანდახან ისეთ რამეებს მეუბნება, რის გაკეთებასაც თავადვე ვფიქრობ და ეს მომწონს. ისაა მწვრთნელი, რომელსაც თავისი მოთამაშეების თვითრწმენისა სწამს.

— თქვენ ამ სეზონში ფეხის ტრავმა გქონდათ. როგორია ახლა ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— არ ვარ მთლად ჯანმრთელად. მომავალ სეზონში უკვე ასი პროცენტით ვიქნები მზად, მანამდე კი ცოტა სიფრთხილე მმართებს. როცა მოედანზე გავდივარ, დაშავებული ფეხის ბოლომდე დატვირთვას ვერიდები, რადგან მეშინია, კვლავ არ დამიშავდეს. ორჯერ უკვე ამომიბრუნდა, მაგრამ, საბედნიეროდ, გადავრჩი.

— ესე იგი, ვერ თამაშობთ ისე, როგორც თქვენგან მოელიან...

— არც მთლად ასეა საქმე. თავს ისე კი არ ვუფრთხილდები, რომ გუნდი ვაზარალო, უბრალოდ, რისკზე არ მივდივარ, თორემ გასაკეთებელს მაინც ვაკეთებ.

— „გოლდენ სტეიტს“ ჰყავს არაერთი ახალგაზრდა, პერსპექტიკული მოთამაშე, მაგალითად, ჯეისონ რიჩარდსონი, ტროი მერფი. თუ ეთანხმებით აზრს, რომ „ვორიორზის“ მომავალი ამ ბიჭების ხელშია?

— სავსებით ვეთანხმები. ჩვენ გვყავს ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც ბოლომდე იბრძვის. და მათი იმედი. რა თქმა უნდა, აქვს „გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობას, ეს ამას გარანტიას ალბა-ვა, რომ გუნდი მომავალში ძალიან სერიოზულ წარმატებას მიაღწევს.

— თუ ჯერაც არ ხართ ბოლომდე გამოჯანმრთელებული, რა გაიძულებთ, მოედანზე გახვიდეთ და ბოლომდე დაიხარჯოთ, მით უფრო, პლეი ოფს მიღმა დარჩენილი „გოლდენ სტეიტის“ მაისურით?

— მხოლოდ ის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდე საკუთარ შესაძლებლობებში. მინდა, ახალ გუნდს შევესისხლხორცო და მასთან ერთად გამარჯვების სიტკბო განვიცადო. მსურს, რომ რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილი ოციოდ თამაში მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესათამაშებლად. კიდევ ის მინდა, რომ სეზონი უტრავმოდ ჩავამთავრო და „გოლდენ სტეიტთან“ ზაფხულში ახალი კონტრაქტი გავაფორმო.

— გჯერათ, რომ „გოლდენ სტეიტი“ მომავალ სეზონში პლეი ოფში გავა?

— მჯერა კი არა, დარწმუნებული ვარ. ჩვენ გვყავს ისეთი ხალხი, რომლებსაც შეუძლიათ „გოლდენ სტეიტი“ პლეი ოფში გაიყვანონ. მთავარია, უტრავმოდ შეინახოთ თავი მომავალ სეზონამდე და თუ ამას მოვახერხებთ, საპლეიოფო ოცნებასაც ავიხდენთ.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

სიზმრად ვნახე პლეი ოფი მილუოკი მაიამიმ გამოაღვიძა

14 მარტი

მაიამი 110:71 მილუოკი

მაიამი: ვეიდი (29), დ. ჯონსი (15), ე. ჯონსი (10), ჰეისლიმი (8), ონილი (21); მურნინგი (8), დოლიკი (5), ანდერსონი (4 ქულა, 10 მოხსნა), ლეიტნერი (3), ბატლერი (3), სმიტი (2), დულინგი (2)

მილუოკი: უილიამსი (10), რედი (14), მეისონი (7), სმიტი (2), გაძურიჩი (6); ფიზერი (11), გოლდვაირი (7), სტრიკლენდი (5), **ზაზულია** (18 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ბუთი (3), კუკოჩი (3), გეინისი

გოლდენ სტეიტი 94:97 ჰიუსტონი

გოლდენ სტეიტი: ჩაბარკაპა (26 ქულა, 10 მოხსნა), მერფი (24), პიეტრუსი (21), რიჩარდსონი (13 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (20), ჰოვარდი (18), ვესლი (16), მინგი (14 ქულა, 15 მოხსნა)

ვაშინგტონი 95:81 ლეიკერსი

ვაშინგტონი: ჰიუზი (21 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), არენასი (21), ჰეივუდი (16)

ლეიკერსი: ბატლერი (20 ქულა, 11 მოხსნა), ბრაიანტი (18), ეტკინსი (15)

შარლოტი 110:119 ბოსტონი

შარლოტი: კეროლი (18), კაპონო (17), ოკაფორი (16 ქულა, 12 მოხსნა), ნაითი (16), ბოგანსი (16)

ბოსტონი: დევისი (27), უოლკერი (25), პირსი (15), ლაფრენეი (15)

ატლანტა 108:114 დეტროიტი

ძირითადი დრო 100:100

ატლანტა: ჰარინგტონი (37), ლუ (27 ქულა, 10 პასი)

დეტროიტი: პრინსი (31), რ. ვოლესი (28 ქულა, 12 მოხსნა), ჰამილტონი (23), ბილაფსი (22)

მემფისი 104:83 პორტლენდი

მემფისი: მილერი (27), რაიტი (19), უოტსონი (16)

პორტლენდი: სტუდემაიერი (20), აბდურ-რაჰიმი (14)

სან ანტონიო 112:89 ნიუ ორლეანი

სან ანტონიო: უდრიჰი (25), დანკანი (18 ქულა, 13 მოხსნა), ბოუენი (18), ბერი (17)

ნიუ ორლეანი: ვრომენი (17), კლაჭტონი (16)



ზაზა ფაჩულია

ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსი“ სულ რაღაც ექვსი მოგებით ჩამორჩება კონფერენციაში მერვე ადგილზე მყოფ „ინდიანა პეისერზს“ და პლეი ოფში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ შერჩენია, მაგრამ უკვე ისეთ მეტოქეებთან წააგო, თან იმდენჯერ, რომ ყველაზე ოპტიმისტ გულშემატკივარსაც შეაპარებს პესიმიზმს — რა უნდა ამ გუნდს პლეი ოფში, თუკი ასე მარჯვნივ და მარცხნივ შეუძლია მეტოქეთა გამარჯვებებით დასაჩუქრება?

ბობოლა „მაიამისთან“ მარცხს ვერავინ წამოაძახებს მილუოკელებს, შაკილ ონილისა და დუეინ ვეიდის ზეგუნდთან „მილუოკზე“ გაცილებით ძლიერებიც აგებენ, მაგრამ 39 ქულით დამარცხება რა ამბავია? ასეა თუ ისე, ნბა მაინც თანაბარი ლიგაა და ოთხი ათეული ქულით ყველაზე უგვანოებსაც „უჭირთ“ წაგება.

„ჰითმა“ პირველივე წუთებიდან ყველაფერში დაჩაგრა „ბაქსი“ და ლაგამი რომ მოზიდა, ბოლომდე აღარ მოუშვია. ვეიდმა პირველი ორი ბურთი დეიმონ ჯონსის „ალე-ჰოპ“ პასებით ჩაუტენა თავიდანვე ნირწამხდარ სტუმრებს. თითქოს ამით ეუბნებოდა, ჩვენ ვიფრენთ და თქვენ კი თქვენი ადგილი იცოდეთო. „მაიამის“ ჩიკორა გამთამაშებელმა 29 ქულის მოხვეჭას 26 წუთი ამყოფინა, ხოლო შაკილ ონილს 31 წუთში 21 ქულასთან ერთად 9 მოხსნა და 4 დაფარება მოუგროვდა. „მაიამის“ ლიდერებმა უკვე პირველ ტაიმში 23 ქულა აართვეს მეტოქეს და მათი მწვრთნელი სტენ ვან განდიც მალიმალ აყენებდა სკამიდან თავის ღრმა სათადარიგოებს. არც ამათ დაუკლიათ ხელი სტუმრებისთვის.

რაც შეეხება „მილუოკის“ ჩვენებურ ცენტრ ზაზა ფაჩულიას, მან 18 წუთი ითამაშა და ხან შაკის, ხან კი მისი შემცვლელი ზო მურნინგის მეურვეობა უწევდა.

ონილის ამბავი ვთქვით, მურნინგმა კი 8 ქულა 9 წუთში შეაგროვა. თავად ფაჩულიამ ამ 18 წუთში თამაშიდან შვიდჯერ შეუტია „ჰითის“ კალათს და შვიდჯერვე უშედეგოდ. ის სამი ქულაც საჯარიმოებით იშოვა.

„ჰიუსტონთან“ გაცილებით დაძაბული ბრძოლა გადახდა ნიკა ცქიტიშვილის „გოლდენ სტეიტს“. „მეომრები“ თავიდანვე აგებდნენ „რაკეტებთან“, ერთი ხანობა 18 ქულითაც, თუმც ბოლო მეოთხედში მოინდომეს, გაიჭირვეს და მაიკლ პიეტრუსის ოთხქულიანი შეტევით 87:87 გაუთანაბრეს „ჰიუსტონს“. მაგრამ სტუმართა ჯილამ ტრეისი მაკგრეიტმ მაშინვე ორქულიანი ჩააგდო და იაო მინგმაც წყვილი საჯარიმოებით ოთხქულიანი სტატუს-ქვო აღადგინა.

„გოლდენ სტეიტი“ დარჩენილ ორ წუთშიც ბევრს ცდილობდა, განსაკუთრებით ჟარკო ჩაბარკაპა, თუმც მასპინძლები მაინც ვერ გადაურჩნენ მარცხს.

იუგოსლავიელმა ჩაბარკაპამ კარიერის ორი რეკორდი დაამყარა — 26 ქულა ჩააგდო და 10 ბურთი მოხსნა, ხოლო ნიკა ცქიტიშვილს საერთოდ არ უთამაშია.

ატლანტაში გამარჯვება გაუჭირდა ჩემპიონ „დეტროიტს“. წინა დღეს „პისტონზმა“ კლუბის ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა — „იუტას“ მხოლოდ 64 ქულა აკმარა და ახლა ჩემპიონები შეტევაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე დაცვაზე. ამის გამო ერთ-ერთი ყველაზე ხისტი დაცვის მყოლმა „დეტროიტმა“ უხეირო „ატლანტას“ ძირითად 48 და დამატებით 5 წუთში 108 ქულის გაკეთების უფლება მისცა, თუმც თავად 114 მოიხვეჭა და ასე მორღვეული დაცვითაც იმარჯვა. „დეტროიტის“ გრძელხელება ფრთამ ტაიშონ პრინსმა 31 ქულით კარიერის რეკორდი დაიმყარა, ხოლო მის თანაგუნდელ რაშიდ ვოლესისთვის 28 ქულა სეზონში უმეტესი გამოდგა.

ორი თამაშის გამოტოვების შემდეგ „სან ანტონიო სფურზს“ მოუბრუნდა ლიდერი ტიმ დანკანი და თუმცა ორი სხვა წამყვანი მოთამაშე, ტონი პარკერი და მანუ ჯინობილი აკლდა, მაინც თავაუტკივებლად ავჯობა დასავლეთში უსუსტეს „ნიუ ორლეან ჰორნეთსს“. პარკერის შემცვლელმა, სლოვენიელმა ბენო უდრიჰმა კარიერაში უმეტესი, 25 ქულა გაახერხა, ხოლო ჯინობილის ნაცვლად თამაშის ხუთეულში დამწყებ ბრენტ ბერის 17 მოუგროვდა.

„ვაშინგტონ ვიზარდსმა“ უნიკალური რამ შეძლო — კლუბის არსებობაში პირველად, ანუ 1961 წლიდან ერთ სეზონში შინაც და გარეთაც მოუგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“. ლოს ანჯელესში უკვე მოგებული ჰქონდა და ვაშინგტონში მით უმეტეს არ გასჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ ოლსტარელი ფორვარდი ანთაუნ ჯემისონი აკლდა.

კოტე ყორღია

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელგანთქმული კალათბურთელი და მწვრთნელი

ოთარ ჟორჟია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბოლო სიტყვას მინისტრი იტყვის

ქართველ ბერძენ-რომაელთა პირველი საერთაშორისო ტურნირის შედეგები ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური თუ არაოფიციალური ვებ-გვერდების მუშაობის გადამკიდეებმა მხოლოდ ჩვენებურების თბილისში დაბრუნების შემდეგ შევიტყვეთ. შაბათ-კვირას სოფიაში ხალიჩაზე თორმეტი ქვეყნის კლასიკოსები გავიდნენ და საევროპისჩემპიონატოდ ძალები მოსინჯეს.

საქართველოს ნაკრები ბულგარეთში შვიდკაციანი შემადგენლობით წარსდგა, თუმცა ყველა წონაში მოჭიდავე მაინც არ გვყავდა. ოლიმპიურ პრიზიორ რამაზ ნოზაძეს (96 კგ) ხელი ტრავმამ შეუშალა, 84 კილოგრამში კი საევროპოდ მოვარჯიშე ბადრი ხასაიას გარდა მსოფლიოს ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძეც გამოვიდა. ბეგი დარჩიას შეგირდებიდან კვარცხლბეკზე მხოლოდ ორი შედგა. მძიმეწონოსანმა მირიან გიორგაძემ ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო წონაშეცვლილი მანუჩარ კვირკველია (74 კგ) ბრინჯაოს დასჯერდა.

ჩვენს ნაკრებს სოფიაში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ყაზარაშვილიც ახლდა, რომელმაც ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილის მოვალეობაც შეითავსა და ფინალურ შეხვედრებზეც იმსაჯა.

— განახლებული წესებით ჭიდაობის სანახაობრივი მხარეც გაუმჯობესდა და სამსაჯოდაც უფრო ადვილი იყო — გვეუბნება თემურ ყაზარაშვილი — თუმც დარწმუნებული ვარ, ეს წესებიც არაა საბოლოო.

— მაშასადამე მსაჯებთან ბულგარეთში საპრეტენზიო არაფერი გვქონია?

— აქამდე ძირითადად ვნებათაღელვა ჭიდაობის შემდგომ შეკვრას მოსდევდა. ხოლმე, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი მოჭიდავე კრავს და ფაქტობრივად სულ ის იგებს. საქართველოს ჩემპიონატზე ვნახეთ, რომ შემკვრელი პირიქით, უმეტეს შემთხვევაში წაგებული რჩებოდა, რადგან 30 წამში ქულის გაკეთებას ვერ ასწრებდა, მაგრამ მას შემდეგ წესები კიდევ შეიცვალა. ვისაც კენჭისყრაში ფერი დაუჯდება, ის მოჭიდავე უკვე ორივე ხელით მოწინააღმდეგის ბეჭებს ქვემოდან შედის, რაც გაცილებით მოგებიანი პოზიციაა. ასე რომ, ვისაც კენჭისყრაში ფერში უმართლებს, მოგებულიც ის რჩება. სოფიაში იღბლიანთა 95 პროცენტმა იმარჯვა.

— თქვენი აზრით, კენჭისყრისთვის ამხელა მნიშვნელობის მინიჭება რამდენად მართებულია?

— ვერ გეტყვით, თუმც ფაქტია, მუხრან ვახტანგაძე ბრძოლას სწორედ იმის გამო გამოეთიშა, რომ კენჭისყრა ორივე რაუნდის შემდეგ მისი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ დასრულდა.

— საქართველოს ნაკრებმა თითქმის სრული საბრძოლო შემადგენლობით რომ მხოლოდ ორი მედალი მოიპოვა, ამას როგორ შეაფასებთ?

— ეს ტურნირი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ერთი ეტაპია. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ აქამდე გუნდმა მხოლოდ ერთი მთის შეკრება გაიარა, რომელზეც მხოლოდ ფიზიკურ მხარეზე იმუშავა. ამრიგად, შედეგების შეფასება ჯერ ნაადრევია.

— უკვე გადაწყვეტილია, სად გაივლის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისწინა შეკრებებს?

— რა თქმა უნდა, თუმც მწვრთნელების გადაწყვეტილებით, შესაძლოა, რამე შეიცვალოს. ევროპამდე ორი შეკრება მოესწრება და პირველი ამ დღეებში ბორჯომში დაიწყება.

— გავიგეთ, რომ ამ ტურნირზე გამგზავრებამდე ევროპის ჩემპიონატის წინა პერიოდში ბულგარული შეკრების პირობებზე მასპინძლებთან მოლაპარაკებას აპირებდით.

— მოლაპარაკების წამოწყება თავად ბულგარელებმა დაგვასწრეს. სიმართლე გითხრათ, პირადად არ მიმაჩნია მიზანშეწონილად იმ ქვეყანაში შეკრება, სადაც მერე ტურნირი უნდა ჩატარდეს. ერთობლივი ვარჯიში შემოგვთავაზეს ბერძნებმაც, ჩვენთან ჩამოდითო. ამ ვარიანტებზე გადაჭრით ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— თქვენი ბულგარეთში ყოფნის პერიოდში ბაკურ გოგიტიძემ პრესკონფერენცია მოაწყო და კვლავ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის რანგში ისაუბრა. იმ პრეზიდიუმიდან, რომელმაც მას უფლებამოსილება შეუჩერა, ფალავანთა კლუბში არავინ მისულა. საინტერესოა, რატომ გრძელდება ამდენ ხანს გაურკვევლობა?

— ნამდვილი პრეზიდიუმი 23-კაციანია და სწორედ ამ პრეზიდიუმმა მიიღო პრეზიდენტის გადაყენების გადაწყვეტილება. ეს ოფიციალური დოკუმენტითაც დადასტურდა და სპორტისა და კულტურის სამინისტროშიც წარვადგინეთ. ალბათ დღე-დღეზე მინისტრი თავად იტყვის, თუ რამდენად კანონიერია ეს დოკუმენტი და გაურკვეველიც აღარაფერი იქნება. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს კი 4 მაისს დაგეგმილი არჩევნები გამოავლენს.

ოთარ მაღლაკელიძე

ქრუსუნი და ქარბორბალანი მურდლოგუ

PACIFIC LIFE OPEN

ინდიან უელსი. მაგარსაფარი ვაჟები. საპრიზო 2,725 მლნ $

მესამე წრე

ენდი როდიკი (3, აშშ) — **ირჟი ნოვაკი** (26, ჩეხეთი) 6:1 6:2; **გილერმო კორია** (5, არგენტინა) — **პარადორნ შრიჩაფანი** (31, ტაილანდი) 6:4 6:2; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — **იურგენ მელცერი** (32, ავსტრია) 7:5 6:4; **ნიკოლას კიფერი** (29, გერმანია) — **გასტონ გაუდიო** (8, არგენტინა) 6:3 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (17, ჩილე) — **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) 6:4 0:6 6:3; **ანდრე აგასი** (9, აშშ) — **ანდრეი პაველი** (21, რუმინეთი) 6:3 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 6:1 3:6 6:1; **ტომი რობრედო** (12, ესპანეთი) — **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) 4:6 6:2 7:6 (7:4)

ქალები. საპრიზო 2,1 მლნ $

მესამე წრე

ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — **მეგან შონესი** (27, აშშ) 6:2 2:6 6:2; **მარია შარაპოვა** (3, რუსეთი) — **დინარა საფინა** (25, რუსეთი) 6:2 6:3; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — **ლიზა რეიმონდი** (31, აშშ) 6:7 (7:9) 6:3 6:3; **ნატალი დეში** (7, საფრანგეთი) — **სამანტა სტოზერი** (ავსტრალია) 6:4 6:7 (9:11) 7:6 (7:4); **ფავიოლა სულუაგა** (19, კოლუმბია) — **დანიელა ჰანტუხოვა** (13, სლოვაკეთი) 6:3 6:2; **მარი პირსი** (20, საფრანგეთი) — **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი) 6:4 6:4; **ვიქტორია კუტუზოვა** (უკრაინა) — **ემი ფრეზერი** (აშშ) 6:3 6:3

წინა დღისა არ იყოს, ამ დღესაც კორტზე მთავარ მოქმედ გმირად ქარბორბალა იქცა. ჰაერის ამძუვნებულ მასებს ვილებიდან მტვერი მოჰქონდა და მეჩოგნეთ ბურთაობას უმურდლავდა. თავის ხოშზე ჩოგნის გაქნევა მხოლოდ იმათ დასცალდათ, ვინაც საქმეში დღის ბოლოსკენ ჩაერთვნენ, ქარბორბალას უკვე თავისი დილეხორი რომ გაესწორებინა და შინისაკენ უბერავდა. იღბლიანთა შორის მოხვდნენ ტურნირის ოდინდელი გამარჯვებული ანდრე აგასი და მასზე ნახევარჯერ უმცროსი ანუ 17 წლის მარია შარაპოვა. რვაგზის სლემტიტულოსანმა არმენოამერიკელმა ძველდროულად უებროდ იპაექრა, რუმინელ სეხნია პაველთან შეხლას ლაგმი თავიდანვე ამოსდო და უზუსტესი დარტყმით ისეთი მარმაშები მოქსოვა, დამსწრე საზოგადოება სიამოვნებისგან კრუსუნებდა. ვიცოდი, გონიერ და გამრჯე მეტოქესთან რკენა რომ მელოდა და ამიტომ თავიდანვე ფხიზლად ვიყავიო, იძახდა მერე ბებერი ფაკირი, ისე კი ძლიერ მეამა, ისევ ჩემებურად რომ ვიბურთავე და ამან კვლავაც რომ გაჭრაო.

გაჭრის თუ არა ჯადო ანდრეს ლამის უკვე მეოცდათხუთმეტწლისებული ჯანი მეოთხე წრეში გილერმო კორიას წინააღმდეგ, ამას — ცოტა შეიცადეთ და — ერთად შევიტყობთ, თუმც იმას კი ზემორე ანგარიშებიდანვე გაიგებდით, რომ აგასისთან დასაჯახებლად კორიას იმ დღეს პარადორნ შრიჩაფანთან მსუბუქი გაკენწლავება მოუხდა.

რაც შეეხება შარაპოვას, მან ახლახან დედა-მწვრთნელ რაუხასთან დაცილებულსა და დიდ კორტზე თავის ანაბარად დამშთარ დინარა საფინას ჩაურბინა. ნამატჩევს ის უმთავრესად ქარის დაოკებას უმაღლიდა, გემოზე ბურთაობა დამცალდაო. აი, მანამდე გარჯილ მდედრიონს და მთავარმდედრ ლინდსი დევენპორტს კი — როგორც ადრევე მოგახსენეთ — გარჯა დიაღ ბანძ პირობებში ერგოთ და აქ კლასის გარდა იმანაც იმოქმედა, ქარიან-მტვრიან გარემოს ვინ უკეთ მოარგო თავისი ჩოგანი. ლინდსიმ და მისმა თვისტომ-მეტოქე მეგან შონესიმ ჯამში 51 შეცდომა დააგროვეს და კაი ოკრო-ბოკროდ გაირჯნენ, თუმც ამქრის პირველოსანი მაინც უმჯობესი სანახავი იყო. მარი პირისმა კი 15 წლის ჩეხ ვაიდიშოვას და სტიქიის მოსარჯულებლად ოდენ ორი სეტი იხმარა.

არტემ ჩაჩანიძე

რონალდოს ფორმულა მოუნდა

ხანგრძლივი ბჭობა-მოლაპარაკების შემდეგ დაიბადა ახალი საფორმულო სერია „A 1-გრან პრი“, რომლის პირველი ჩემპიონატიც უკვე წლეულს სექტემბერში აიღებს სტარტს.

ავტოსიახლე „სამეფო რბოლებთან“ ომს კი არ აპირებს, პირიქით, არასაპირველფორმულო ქვეყნებში ავტოსპორტის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და ფორმულა 1-თვის ახალი ვარსკვლავების აღმოჩენას გეგმავს.

განსხვავებულია ახალი ფორმულის ჩატარების ფორმულა. ეს იქნება ქვეყნების და არა ფირმების ჩემპიონატი. სიახლე წარმოადგენს მონოსერიას, ანუ ყველა პილოტი აბსოლუტურად ერთნაირი ძრავ-მანქანით, ამდენად იდენტურ პირობებში ივჯირითებს. შასის ერთი ფირმა, საქვეყნოდ ცნობილი „ლოლა“ დაამზადებს, ძრავას — „ციტეკი“. რვაცილინდრიანი და 3,4-ლიტრიანი ძრავები 520 ცხენის ძალისაა.

რონალდო ფორმულას ეზომება

შეჯიბრება სექტემბერ-აპრილში ჩაივლის, როცა მთავარი ფორმულა ისვენებს. დაგეგმილია 12 ეტაპის ჩატარება ხუთივე კონტინენტზე. მონაწილეობის სურვილი ჯერჯერობით თოთხმეტმა ქვეყანამ გამოთქვა, მათ შორის პორტუგალიამ, მალაიზიამ, პაკისტანმა, ლიბანმა, ინდოეთმა, კორეამ...

იდეის ავტორ-პატრონი და ხორცშემსხმელი ფორმულა 1-ის დიდი თაყვანისმცემელი, დუბაის შეიხი მაქტუმ ჰაშერ მაქტუმ ალმაქტუმია. ამგვარ გრანდიოზულ საქმესთან შეჭიდება მას სწორედ ავტორბოლის სიყვარულმა გადააწყვეტინა და დასაწყისისთვის საკუთარი ქისიდან ასი მილიონი დოლარიც გაიღო.

შეიხის სურვილია, რბოლები კვლავინდებურად იყოს პილოტების და არა გაბერილ ბიუჯეტიანი კონცერნების შეჯიბრი, განსაზღვროს მძღოლის ოსტატობამ და არა ელექტრონიკით გაჭყეპილი ბოლიდის სიმძლავრე-სისწრაფემ. A 1 სერიას მეორენაირად „ავტოსპორტის მსოფლიო თასი“ ერქმევა, ხოლო გამარჯვებული იქნება არა, ვთქვათ, „ფერარი“ ან „მაკლარენი“, არამედ ესა თუ ის ქვეყანა.

მონაწილეთა შორისაა ბრაზილიაც, რომელსაც კი ჰყავს ეროვნული სიამაყე რუბენს ბარიჩელო, მაგრამ არა აქვს საპირველფორმულო ავტოგუნდი. მსოფლიოს თასზე ძმობლიურდროშიანი საჯინიბოს მფლობელი გახდა მადრიდის „რეალის“ ფორვარდი რონალდო. რონი, ცხადია, პროექტში თავის წილ დოლარებსაც ჩადებს, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ეროვნულ საქმესთან ერთად მოგების სურვილიც ამოძრავებს.

სხვათა შორის, უფრო ადრე პორტუგალიური გუნდის მესაკუთრეობა გაიფორმა მეორე რეალელმა სუპერვარსკვლავმა ფიგუმ.

ამბობენ, თვით მიხაელ შუმახერსაც სურდაო „საქმეში შესვლა“, მაგრამ „ფერარისთან“ თანამშრომლობა ამის უფლებას არ აძლევს.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ბოსების სახელები უფრო სახელობს, ვიდრე „A 1-გრან პრის“ მძღოლებისა. ვნახოთ, სექტემბერში რა როგორ იქნება.

გია ახალაძე



რუსეთი უპუტინოდ

ჭადრაკის მეფე რუსული დემოკრატის მამა ხდება



გარი კასპაროვი მწერლობასაც აპირებს

გარი კასპაროვი და მისი თანაგუნდელები: ევგენი კისელიოვი, სერგეი პარხომენკო და ბორის ნემცოვი

მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ლინარესი მეცხრედ მოიგო და პროფესიული კარიერაც ამით დაასრულა.

„ჭადრაკში რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე და მგონი, მეტიც მომჭვიდა. ახლა მთელ ჩემს ინტელექტს და სტრატეგიულ ხედვას რუსულ პოლიტიკას მოვახმარ. მე არსად არ მივდივარ, უბრალოდ, გადავდივარ იმ სფეროში, სადაც შემიძლია გამოვიყენო მთელი ჩემი დარჩენილი პოტენციალი — ამბობს დიდოსტატი — ვფიქრობ, რომ ქვეყანა არასწორი გზით მიდის, ამიტომაც რუსეთს ჩემი დახმარება სჭირდება. ქვეყანა მოსახლეობისთვის უნდა იყოს მოსახერხებელი, სამართლიანი და თავისუფალი. ერთი სიტყვით, ყველაფერს გავაკეთებ, რათა პუტინის დიქტატურა დავამხო. ძნელია, ითამაშო იმ ქვეყნის სახელით, სადაც დემოკრატია არ არის. იმედია, ამ პრობლემას მალე მოვაგვარებ და გვერდშიც ბევრი ამომიდგება“.

ბოლო ოცი წელიწადია, გარი კასპაროვი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება და მას ყველა დროის საუკეთესო დიდოსტატად აღიარებენ. ბევრს მიაჩნია, რომ კასპაროვს ჭადრაკში ისეთი დამსახურება აქვს, როგორც ავტორბოლაში მიხაელ შუმახერს და ჩოგბურთში პიტ სამპრასს.

ინგლისელი დიდოსტატი ნაიჯელ შორტი კარგად იცნობს კასპაროვის ძალას და ინტელექტს. 1993 წელს ალბიონელმა მასთან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში წააგო.

„იგი იშვიათი მოთამაშეა და მასთან შეხვედრისა სულ მეშინოდა. მაგალითად, შემიძლია, თავისუფლად ვეთამაშო რეიტინგის მეორე ნომერ ინდოელ ვიშვანათან ანანდს. მას დიდად ვაფასებ, თუმც არ მეშინია“ — აღნიშნა შორტმა, — კასპაროვი მსოფლიოს ჭადრაკში უდიდესი ფიგურაა და საწყენია, ასე ნაადრევად რომ მიდის. ამით, ფაქტობრივად ერა დასრულდა“.

შორტს მიაჩნია, რომ კასპაროვმა საბოლოოდ თქვა უარი წასვლაზე და ეს არავითარი სარეკლამო ფანდი არ არის.

მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი და კასპაროვის ძველი მეტოქე რუსი ანატოლი კარპოვი შეწუხებულია დიდოსტატის წასვლით და ამის მიზეზად ფიდეს უმოქმედობასა და უყურადღებობას ასახელებს.

თავისთავად კასპაროვის საქციელზე კომენტარს ფიდეს თავკაცი კირსან ილუმჟინოვიც აკეთებს:

„საწყენია, გარი კასპაროვმა დიდი ჭადრაკი რომ დატოვა, თუმც მგონია, რომ ეს დროულიც იყო, როგორც თავის დროზე მისი მოსვლა. კასპაროვმა ბევრი რამ გააკეთა მსოფლიოს ჭადრაკის გასავითარებლად. იგი ამ სფეროში ისტორიული მოვლენაა“.

თავის აზრს გამოთქვამს საჭადრაკო ჟურნალ „64“-ის რედაქტორი და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრ როშალი.

„კასპაროვი ამ ნაბიჯისთვის დიდი ხანი ემზადებოდა. მას სურდა, კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან ვლადიმერ კრამნიკთან რევანში აელო და ჭადრაკიდან გამარჯვებული წასულიყო, თუმც ამ მატჩის ორგანიზება ვერ მოხერხდა. პასიურობდა კრამნიკიც და სულ ცდილობდა, კასპაროვთან თამაშისთვის თავი აერიდებინა. გარიმ დაახლოებით 40-მდე სუპერტურნირი მოიგო და ასეთი მასშტაბის დიდოსტატი თანამედროვე ჭადრაკს არ ჰყავს“.

როშალმა ასევე გაიხსენა კასპაროვის ბოლო მატჩი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბულგარელ ვესელინ ტოპალოვთან ჩაატარა:

„ტოპალოვთან მატჩი დასამახსოვრებელი უნდა ყოფილიყო მისთვის, თუმც თამაშის დროს შეცდა და წააგო.“ მავანმა ჟურნალისტმა ამის თაობაზე იხუმრა კიდეც, წასასვლელად გამზადებულ კასპაროვს ბულგარული წიწაკა მოხვდაო. მიუხედავად წაგებისა, კასპაროვი ლინარესის ცხრაგზის გამარჯვებული გახდა და საპრიზო 100 ათასი ევროც ერგო. დიდოსტატი გარდა პოლიტიკისა, მწერლობაშიც ცდის ბედს და მალე გამოსცემს წიგნს — „ჩემი დიდი წინამორბედები“.

მის შემოქმედებით ნიჭს ინგლისელი დიდოსტატი რეიმუნდ კინი მაღალ შეფასებას აძლევს:

„წიგნი ძველ ჩემპიონებზე გადატრიალებაა საჭადრაკო ლიტერატურაში. ეს იგივეა, მიქელანჯელოს და ვინჩზე ტრაქტატი დაეწერა. კასპაროვმა იცის, რაზე დაწეროს და დროს უქმად არ კარგავს. უბრალოდ, იგი დაიღალა მსოფლიოს ჩემპიონატებით და იმ იდიოტებით, რომლებიც მსოფლიოს ჭადრაკს მართავენ“ — აცხადებს კინი და კასპაროვის მისამართით საქებ სიტყვებს არ იშურებს:

„იგი საოცრად დინამიური, აქტიური, ამბიციური და მიზანდასახულია. მოუხერხებელია, რომ მსოფლიოს ჭადრაკს ჩამოშორდა, მაინც შეეძლო დარჩენა. ამბანდ ჩემპიონი კრამნიკია, თუმც კასპაროვის ადგილს ვერასდროს დაიკავებს“.

პოლიტიკაში წასული გენიალური მოჭადრაკე ოპოზიციურ გაერთიანება „კომიტეტ 2008“-ს ხელმძღვანელობს და ახლა იქ გააკეთებს მორიგ შამათს. „მოსკოვსკიე კომსომოლეცის“ ჟურნალისტი ალექსანდრ მინკინი კასპაროვის ახალგაზრდობას იხსენებს და ამბობს, რომ დიდოსტატი პოლიტიკაში წინათაც ერეოდა. ოთხმოციანი წლების ბოლოს იგი საკუთარ თავს გარდაქმნის შვილს უწოდებდა და ეს საჭადრაკო კი არა, პოლიტიკური ფირნიშია. დიდოსტატი გაიდარის პარტიაში იყო, თუმც არჩევნებში დამარცხების შემდეგ მათ ჩამოშორდა და რუსთა სათემო კონგრესს შეუერთდა ლებედთან და როგოზინთან ერთად.

კასპაროვი ხანდახან საოცარ განცხადებებსაც აკეთებდა. იგი პროპაგანდას უწევდა აკადემიკოს ფომენკოს ნაშრომებს და ამტკიცებდა, რომ ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონი ერთი და იგივე სახე იყო, ეგვიპტური პირამიდები ასეულ წლებს ითვლის და არა ათასწლეულებს, ჩინგიზ-ხანი კუტუზოვმა ბოროდინოში დაამარცხა და ასე შემდეგ.

„კასპაროვი საეჭვო დემოკრატია“ — აცხადებს მინკინი — რამდენიმე წლის წინათ, როცა ილუმჟინოვმა ყალმუხელებს პრეზიდენტად არჩევა მოსთხოვა, გარიმ მისი მხარდასაჭერი წერილი გამოაქვეყნა. ამ დროს კი დემოკრატიული საზოგადოება ცდილობდა, ილუმჟინოვი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცათ ჟურნალისტი ქალის იუდინის მკვლელობის ბრალდებით... კი, ბატონო, იგი უდიდესი მოჭადრაკეა და ვარიანტებსაც გენიალურად არჩევს, მაგრამ ხალხი ხომ ფიგურები არ არის. ჭადრაკში ფიგურები მოთამაშეს ემორჩილებიან და გამარჯვებისთვის თავსაც წირავენ. თავგანწირვა ხალხსაც შეუძლია, თუმც მათი დარწმუნება უნდა შეძლო“.

ლაშა გეგეჭკორი

ნემსის ყუნწში გაძრომა რუსულად

მადრიდის, ლონდონის, ნიუ იორკისა და პარიზის წარმომადგენლები უკვე გაძვრნენ ნემსის ყუნწში, რათა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ შემფასებელი კომისიის წევრთათვის თავი მოეწონებინათ. სულ ბოლოს მოსკოველთა რიგიც დადგა, რომელსაც 13-კაციანი კომისიის წევრები კვირას ეწვივნენ.

გუშინ ამ კომისიის წევრებმა დაიწყეს მოსკოვის ოლიმპიური ბაზების ინსპექტირება. ისინი თავდაპირველად ეწვივნენ „ბიტცევოს“ საცხენოსნო სპორტულ კომპლექს, რომელიც მოსკოვში 1980 წელს გამართული ოლიმპიური თამაშებისთვის აშენდა.

აქ იმართება საცხენოსნო სპორტის სამ დისციპლინაში შეჯიბრებები, აგრეთვე თანამედროვე ხუთჭიდელთა ასპარეზობები. იქვე არის ამავე კომპლექსის 25-მეტრიანი საცურაო აუზი, სპორტდარბაზი, ტირი, საუნა და სასტუმრო. აგრეთვე ღია კორტები.

აღსანიშნავია, რომ ეს კომპლექი მთელ ევროპაში უდიდესია მათ შორის, რომლებიც უშუალოდ ქალაქის ფარგლებშია მოქცეული.

კომისიის წევრებმა გუშინვე მოინახულეს ლუჟნიკების სპორტული კომპლექსი, სადაც რუსეთის ზოგიერთმა სპორტულმა ფედერაციამ სტუმართათვის თავიანთი სახეობის პრეზენტაცია მოაწყო. კომისიის წევრებმა დათვალიერეს „ვიპ“-ის ლოჟა, საიდანაც თვალყური ადევნეს საგანგებოდ მათთვის მოწყობილ თეატრალურ-მუსიკალურ გამოსვლას, რომელშიც მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მოსწავლეთა შემოქედების დემონსტრირების შემდეგ ცაში აიჭრა საჰაერო ბურთები, რომლებზეც ჩამოკდებული იყო უზარმაზარი ხუთფერიანი ტილოები, რომლებიც ოლიმპიური მოძრაობის სიმბოლოებს გამოხატავდნენ.

სტუმრებს დაათვალიერებინეს ლუჟნიკების სპორტის სასახლე, მცირე სპორტული არენა, უნივერსალური სპორტული დარბაზი „დრუჟბა“, იქიდან კი ოლიმპიური სოფლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიაც მოინახულეს, სადაც აგრეთვე აშენდება მთავარი საინფორმაციო ცენტრი.

კომისიის წევრებმა თავს უფლება მისცეს ცოტათი გართულიყვნენ და ეხალისათ ლუჟნიკების ტერიტორიაზე, სადაც ხელოვნურ გაზონზე გადავიდნენ, თოვლის გუნდები გააკეთეს და ერთმანეთს დააყარეს.

ბიტცევოს კომპლექსის დათვალიერების შემდეგ კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს იქაურობის ავტობუსით დატოვება და გაემართნენ მეტროს სადგურ „ვერნადსკის პროსპექტზე“, საიდანაც ორი გაჩერება მიწის ქვეშ გაიარეს.

რა თქმა უნდა, კომისიის წევრებს ეს შემთხვევით არ გაუკეთებიათ. მათი მგზავრობა განპირობებული იყო იმით, რომ სატრანსპორტო სისტემის მუშაობის გაცნობა კომისიის წევრთათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

„ვფიქრობ, რომ მოსკოვმა კომისიის წევრებს შესთავაზა ის, რაც ვერ შეძლო ვერცერთმა კანდიდატმა ქალაქმა“ — ამბობს მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში, ელენა ისინბაევა — შემფასებელი კომისიის წევრებთან ერთად დადის ბევრი ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი. ვფიქრობ ეს მათ ვერცერთმა კანდიდატმა ქალაქმა ვერ შესთავაზა.“

ელენე ისინბაევამ ისიც თქვა, რომ სოკულ სტუმრებს ჯერჯერობით ყველაფერი მოსწონთო.

ამთანდილ ბუკვიშელი

ნადზირატელი

გლადიატორთა დარი ბრძოლა ყინულზე

იაროსლავ იაგრი

ჩხუბი ნჰლ-ში არა მარტო მიღებული, არამედ მკაცრად რეგლამენტირებულია. მაგალითად, პოლიციური ფუნქციების შემსრულებელი მოთამაშე არასოდეს არ აწევს ხელს სხვა ამპლუის ჰოკეისტზე. ვარსკვლავების ცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ევროპაში, კერძოდ, რუსეთში, ჩხუბი მხოლოდ ბოლო წლებში შევიდა „მოდაში“ და იქ ჯერჯერობით ველური კანონები სუფევს. ამჯერად ასეთი უკანონობის მსხვერპლი თვით იაროსლავ იაგრი გახდა.

ომსკის „ავანგარდში“ მოასპარეზე ჩეხ სუპერვარსკვლავს იაროსლავლის „ლოკომოტივის“ მცველი დმიტრი კრასოტკინი გადაეკიდა — ბორტთან მყოფს ჯერ იდაყვი ჩაარტყა, შემდეგ კი კარის ბაღეზე დაგდო. ცხადია, იაგრის პარტნიორებმა ასეთი უსამართლობა არ აპატიეს მეტოქეს და ცოტა ხანში უკვე იაგრი ცემდა კრასოტკინს, ვინაიდან მის დასახმარებლად პარტნიორი მივიდა და ორი ერთს დაესხა თავს.

რამდენიმე წამში მოედანზე უკვე დიდი გაწევ-გამოწევა ატყდა ამ მომენტში ყინულზე მყოფი ყველა მოთამაშის მონაწილეობით.

თუმც ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ვითარება განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა ყინულზე ომსკელი ანდრეი ნაზაროვი გამოჩნდა. ნჰლ-ში დიდი ხნის განმავლობაში მოთამაშე ნაზაროვს კარგად ესმოდა, რომ სათადარიგო სკამიდან ჩხუბში ჩარევა დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ ის ლიგაში ლამის ერთადერთი რუსი „პოლიციელია“, მაგრამ იაგრის დაცვა სწორედ მას ევალება. ჰოდა, „ნადზირატელმა“ (ნაზაროვის მეტსახელი) ვერ მოითმინა. ის მოჩხუბარი ჰოკეისტების შუაგულში შეიჭრა, მაგრამ თანამსაჯებმა „ფრთების გაშლის“ საშუალება არ მისცეს და უმალ შებოჭეს. ეგებ ამით ყველაფერი დასრულებულიყო, მაგრამ „ავანგარდის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ევგენი შასტინმა უხამსი შეძახილებით თანამსაჯთა ყურადღება მიიპყრო. ნაზაროვმა ამით ისარგებლა, მსაჯებს გაუსხლტა და პირდაპირ მეტოქის სათადარიგო სკამს მიაშურა, სადაც კრასოტკინის ძებნაში პირველივე ლოკომოტიველს ეცა, ვინც ხელში მოხდა. ამას იაროსლაველთა სამართლიანი რისხვა მოჰყვა და რაღაც წამებში ერთბაშად ათიოდე ჰოკეისტმა ნაზაროვი ყინულზე დასცა. ნაზაროვის გადასარჩენად მისი პარტნიორები გაცვივდნენ და უკვე გუნდები დაერივნენ ერთმანეთს. ჩხუბში სათადარიგო მეკარეებიც კი ჩაერთვნენ. თანაც ნორჩმა ლოკომოტიველმა ლობანოვმა არაფერი დათმო რუსეთის ნაკრების მეკარე სოკოლოვთან ჯახში.

ერთი სიტყვით, ცოტაც და გლადიატორთა გუნდურ ბრძოლას დამგვანებული ამბავი უმართავი გახდებოდა, ვინაიდან ადგილობრივმა მაყურებელმა სხვადასხვა ნივთების სროლა დაიწყეს და სადაცაა, ყინულზეც გადავიდოდნენ. „ავანგარდის“ მოთამაშეები მხოლოდ დაშოშმინდნენ, რაც ნაზაროვი მეტოქეთა ყველაზე ჯანიანი მოთამაშის, მიხნოვის კლანჭებში აღმოჩნდა. ვნებათაღელვა ჩაცხრა. მატჩის მთავარმა მსაჯმა მხოლოდ ნახევარსაათიანი გარჩევის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომელიც რუსეთის ჩემპიონატების ახალი რეკორდი გახდა — 322 საჯარიმო წუთი და ცხრა მატჩის ბოლომდე გაძევებული ჰოკეისტი. ნჰლ-ის აბსოლუტურ რეკორდს რუსთა ჯახი მხოლოდ 84 წუთითღა ჩამორჩა.

„ნაზაროვმა გამოიწვია მთელი ეს ვნებათაღელვა. ის რომ შემდეგ ცვლაში გამოსულიყო და ჩხუბში გამოვეწვიე, გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, მან კი ამის ნაცვლად უკნიდან კისერში ჩარტყმა დამიწყო. კიდევ კარგი, ქომაგებმა არ დაიწყეს ქვების და სხვა მძიმე საგნების სროლა. ვფიქრობ, ასეთ ჰოკეისტს საერთოდ უნდა აეკრძალობს თამაში ლიგაში. ის ადრე თუ გვიან ვიღაცას დაასახიჩრებს. სამწუხაროდ, ლიგა ძალიან ლმობიერად ეპყრობა მას. აი, ნახავთ, კვლავ არ დასჯიან და მომდევნო მატჩებში ისევ დაიწყებს თავის ოინებს“ — თქვა ნამატჩევს ინციდენტის მონაწილემ, იაროსლაველმა ალექსანდრ კარპოვცევმა.

საბედნიეროდ, მისი ვარაუდი არ გამართლდა და ამჯერად ნაზაროვმა იოლად ვერ დაიძვრინა თავი. „ნადზირატელს“ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ის პლეი ოფის პირველ თამაშებს გამოტოვებს.

სამველ ღარიბიანი

ნჰლ-ს ხომ არ მოგვყიდით?

ლიგის მეთაურებმა საკმაოდ უცნაური წინადადება მიიღეს. ორმა ბოსტონურმა კომპანიამ — „ბეინ ლლს“ და „გეიმ პლან ლლს“-ნჰლ-ს ჩიხიდან გამოსავლის თავისებური მეთოდი შესთავაზა. მოგვყიდეთ მთელი ლიგა თავისი შაიბებით, ყვანჯებით, არენებით და ასე შემდეგ და ამაში 3-3,5 მილიარდ დოლარს გადაგიხდითო.

იდეის ავტორების აზრით, დღევანდელ პირობებში გაცილებით ნაყოფიერად შეიძლება ნჰლ-ის დარი კომერციული ობიექტის გამართვა. საამისოდ ისინი განახლებული აღგილობრივი ტელევიზიის, ინფრასტრუქტურის შექმნას სთავაზობენ და სრულიად ახალი სპონსორების მოწვევას აპირებენ, მათ შორის კანადიდან.

უნდა ითქვას, რომ ამ სენსაციურმა პროექტმა მაინცდამაინც არ აღაფრთოვანა კლუბების მფლობელები. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ასეთ პირობებში ლიგას ერთიანი მმართველობა ექნება და კლუბებს დამოუკიდებლობა შეეზღუდება.

„არა მგონია, რომ ეს რეალურია და საერთოდ გამოიწვევს რაიმე ინტერესს. ვფიქრობ, ჩემს აზრს დანარჩენი კლუბების მფლობელებიც იზიარებენ“ — თქვა „ბოსტონის“ მეპატრონე ჯერემი ჯეკობსმა.

გარდა ზემოთ ხსენებული დაბრკოლებისა, არსებობს კიდევ სხვა პრობლემებიც. თუნდაც ის, რომ დღესდღეობით ლიგის 30 კლუბის საერთო ღირებულება, ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, გაცილებით მეტი, 4.9 მილიარდი დოლარია. თანაც ყველაზე ძვირადღირებულ და ღარიბ კლუბებს შორის უდიდესი განსხვავებაა. მაგალითად, „დეტროიტი“ 266 მილიონი ღირს, მაშინ როცა „ედმონტონი“ სულ რაღაც 86. ახალ პირობებში კი კლუბების ღირებულება საშუალოდ 100-120 მილიონს შეადგენს. ასე რომ, შემოსავლების განაწილება მეტად გართულდება.

„არც ერთ მეპატრონეს ბოლომდე არ ესმის, თუ რა არის მისი კუთვნილების რეალური ფასი. ჰოკეი მარტო ხომ არაა, იქ მთელი ინფრასტრუქტურაა“ — ამბობს ვინმე სტივ როსი, ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი სპორტის დარგში.

ერთი სიტყვით, საკმაოდ პრობლემატური საკითხია და უმრავლესობას ეს უტოპია ჰგონია. თუ ლიგის წარმომადგენლებმა ასე თუ ისე რეაგირება გააკეთეს ამ წინადადებაზე, პროფკავშირის წევრებმა საერთოდ აარიდეს თავი კომენტარებს.

რახან ლიგამაც არ გამოხატა დიდი ინტერესი პროექტის მიმართ, ვფიქრობ, კომენტარიც ზედმეტია, — თქვა ასოციაციის უფროსმა დირექტორმა ტედ სასკინმა.

სამველ ღარიბიანი



აბებმს ბიძის მაღაზია სოფელში

ეთიოპიელები მედალს ახალი ვარსკვლავისგან ელიან

ახლოვდება საფრანგეთში, კერძოდ სენტ ეტიენში დანიშნული მსოფლიოს 33-ე ჩემპიონატი კროსში და შესაბამისად დასასრულს უახლოვდება გუნდების მზადება. ამ წერილში ჩემპიონის, ეთიოპიის ნაკრების შესახებ გიამბობთ, უფრო სწორედ მის ახალგაზრდა ვარსკვლავზე, 21 წლის აბებე დინკესაზე მოგახსენებთ. ამ მძლეოსანზე თავად ეთიოპიელი მწვრთნელები ამახვილებენ საგანგებოდ ყურადღებას.

აბებე დინკესამ 2004 წელს ძალიან შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა, განსაკუთრებით კი დეკემბერში, ბრიუსელში მოიწონა თავი, სადაც IAAF-ის სალიცენზიო გარბენი მოიგო. ბოლოს, ორი კვირის წინ ეთიოპიურ სინჯებზე, 12 კილომეტრზე რბენაში მან არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ვერცხლისმედალოსან გებრებზიაბერ გებრემარიამს აჯობა.

ეთიოპიის ნაკრების ასისტენტი მწვრთნელი ჰუსეინ შებო: „აბებე ვარჯიშებისას ძალიან შთამბეჭდავი გახლდათ და ვფიქრობ, ის მზადაა მსოფლიოს საუკეთესოებს ტოლი არ დაუდოს“.

სხვათა შორის, შებო, გარდა იმისა, რომ ნაკრებში დიდ თანამდებობაზე მუშაობს, დინკესას პირადი მწვრთნელიცაა, ახალგაზრდას ციხის პოლიციის სპორტულ კლუბში ზრდიდა და შეგირდის ყველა წვრილმანი იცის.

„მე მისგან საფრანგეთიდან მედალს ველოდები“ — განაცხადა ჰუსეინ შებომ.

სხვათა შორის, მწვრთნელის ენთუზიაზმი თავად მორბენალმაც გაიზიარა და საკმაოდ თამამად გამოთქვა მოსაზრებანი საკუთარ თავზე:

„ეთიოპიის ნაკრებში მე სხვებზე უკეთ ვარ მომზადებული, ამიტომ იმედი სრულიად რეალური მაქვს. მინდა მედალი მოვიპოვო და თუ შესაძლებელია ოქროსაც შევუტიო. ამისთვის ძალიან ბევრი ვიმუშავე, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ხანდახან, როდესაც პირველ აღგილზე გავდივარ, ბედი მიმართლებს“.

ახლა ორიოდ სიტყვით აბებე დინკესას ბიოგრაფიის შესახებ: ის დაიბადა 1984 წლის 6 მარტს ქალაქ ამბოს უბანში, რომელსაც ჰქვია დენდჰი. ეს ეთიოპიიდან 150 კილომეტრშია. შემდეგ, აბებე ბიძამისმა ქალაქიდან სოფელში წაიყვანა, რათა საბაყალეო მაღაზიაში დახმარებოდა და ბავშვმაც სირბილი იქ, სოფლის სკოლაში დაიწყო.

„ბიძაჩემს უნდოდა განათლების მიღებაში დამხმარებოდა და თან მაღაზიაში მემუშავა“ — ამბობს დინკესა, რომლის ბიძასაც ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ მაღაზია გაუკოტრდა:

„მაღაზია რომ არ გაკოტრებულიყო, მე რბენაზე ვერ გადავერთვებოდი, რადგან ერთდროულად ვარჯიში, სწავლა და მაღაზიაში მუშაობა ყოვლად შეუძლებელია“.

სკოლაში აბებე დინკესამ 5 000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა, ხოლო 2000 წელს ამბოს პროვინციის სკოლათაშორის ჩემპიონიც შეიქნა. ამის შემდეგ ყმაწვილის ბიოგრაფიაში იყო ჩავარდნა, აღის აბების ნახევარმარათონში სამარცხვინო 90-ე აღგილზე გავიდა, მაგრამ ამან ყურები კი არ ჩამოაყრევინა, მეტი ვარჯიშისკენ უბიძგა, რამაც, ბუნებრივია, შემდგომ წლებში წარმატებები მოუტანა.

თუმცა იყო ერთი მძიმე ტრავმაც. 2003 წელს ამომავალ ვარსკვლავს კუნთი გაუწყდა და ექიმებმა საერთოდ სპორტიდან წასვლა ურჩიეს. აბებე დინკესამ, რა თქმა უნდა, ექიმებს ყური არ დაუგდო და მოიგო.

„როდესაც შევიტყვე, რომ სენტ ეტიენში წასაყვანი ნაკრების წინასწარ სიაში ჩამწერეს, ყურებს არ ვუჯერებდი“ — ამბობს აბებე დინკესა ორი კვირის წინანდელს, — ბუნებით გაუმაძღარი ვარ, სულ გამარჯვებები მწადია, თანაც ვარჯიშებზე ვატყობ, რომ საქმე ძალიან კარგად მიმდის. ერთი სიტყვით, ერთი სული მაქვს როდის ჩავალ საფრანგეთში და როდის დაიწყება შეჯიბრება“.

ტუტა სიხარულიძე

რონალდო კომპიუტერებში

რონალდო ახლა ჰანოვერშია, სადაც მსოფლიოში უდიდესი კომპიუტერული ბაზრობა მიმდინარეობს. ჰოდა, შეგიძლიათ ჩააჩხაკუნოთ თქვენი მობილურით. ამ გოგოს კარგად გამოუვიდა. ოღონდაც მობილური ისე იღებს, ჩხაკუნი არ ისმის. ჩხაკუნი ძველია.

REUTERS ჰანოვერიდან

REUTERS მოსკოვიდან

ჯონ მაკინროი მაგაარი

მაგარი კაცია ეს ჯონ მაკინროი. ნიუ იორკში როკენ როლის დიდების დარბაზის მეოცე გალაზე გასულა და ისიც ვაღიარეთ, რომ მის ჩოგბურთში სწორედაც როკენროლი იგრძნობოდა. ამჟამინდელი ცოლიც, ჰეტი სმიტი ხილისიანი შეხვედრია.

REUTERS ნიუ იორკიდან

რუსული გრაცია და ჩინური გეომეტრია

მოსკოვში ფიგურული სრიალის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. საკვირველია, მაგრამ რუსთა დედაქალაქს ასეთი მასპინძლობა ბრეჟნევის შემდეგ არ გაუწევია. აი, რუსული წყვილი: ტატიანა ტატმიანინა და მაქსიმ მარინინი, ესეც ჩინელები ქუინგ პანგი (გოგო) და ჟიან ტანგი.

REUTERS მოსკოვიდან

REUTERS ლონდონიდან

სათანამეგობრობა

აი, ახალი კვერთხი. თუმცა, საესტაფეტო ჩირაღდანიც შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს სავანი ლონდონიდან დაიძრება, ბრიტანეთის თანამეგობრობის 71 ქვეყანას გაივლის და მელბურნს ჩავა — ავსტრალია თანამეგობრობის თამაშების მორიგი მასპინძელია. ჩირაღდანი ავსტრალიელ მოდელს, ელ მაკფერსონს უპყრია, დედოფალი ელისაბედიც იქაა, ხოლო ბრინცი ფილიპი აშკარად კარგ ხასიათზეა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დიგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge